

Nº228 (12298)

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 2007 359MRU 1934 ELUDESE


3770 50 താതരവ



# 383333333







#### **ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ**. ᲘᲠᲚᲐᲜᲦᲘᲐ **ペン しょょょんののつごべい**

ეს ბრ იყო, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების საუკეთესო მატჩი. მთელი ამ სტატისტიკური უპირატესობის გამოყენება, რა თქმა უნდა, უფრო ლაზათიანადაც შეიძლებოდა. ანგარიშს არ ვგულისხმობ. სხვაობა შეიძლებოდა უფრო მცირეც ყოფილიყო, მაგრამ ნეიტრალური მაყურებელი უფრო კმაყო-ფილი დარჩენილიყო თამაშის ესთეტიური მხარით. წვიმამ შეუშალა ხელი. ჩვენი მწვრთნელები სიურპრიზს უმზადებდნენ ნამიბიას და გაგვიმხილეს, რომ უფრო გაშლილად აპირებდნენ თამაშს, მაგრამ თავად ნახეთ. პირველ ოც-დაათ წუთში წინა თამაშის გმირს, შკინინს სამჯერ თუ ოთხჯერ დაუვარდა სველი ბურთი ხელიდან. და ჩვენებმაც ჩვეულ, პრაგმატულ სტილს მიმართეს. არ იყო ესთეტიკის, სილამაზის და რა იცი, შეიძლება ლამაზი წაგების დროც. იშვიათი შემთხვევაა, როცა ქართულმა უნდმა "ცუდად" ითამაშა, მაგრამ მოი-გო... გუშინ კი მთავარი სწორედ პირველი მოგება იყო მსოფლიო თასზე. რა თქმა უნდა, საერთოდ არ ვახსენებთ სიტყვა პრემიას...

და აჩვენა კლასი! აბსოლუტურად არაფრის შანსი არ დაუტოვა მეტოქეს შეტევაში, ხოლო თავად შეაკოწიწა საკ-მაოდ დიდი სხვაობა - ზუსტად იმდენი, რამდენიც არგენტინამ შეაგროვა ჩვენთან და ორჯერ მეტი, ვიდრე ირლანდიამ - ნამიბიასთან. კლასის საბოლოო დასტური იყო მეორე ტაიმი - ნამიბიელთა ნახევარზე მთელი ოცნუთიანი უშედეგო ტრიალის შემდეგ მეტოქეს თითქოს ბოლო გაბრძოლების შანსი მიეცა, მაგრამ, გაიხსენეთ ბოლო 11 წუთი: ჯერ საჯარიმო და განაღდებული მოგება - 16:0, მერე კი მაჩხანელისა და კაუსწორდებიან გრანდები მამაც, მაგრამ კლასით ნაკლებ მეტოქეებს. ბოლო წუ-

უთუოდ სამივე თანაბრად მნიშვნელოვანი მატჩი იყო ამ მსოფლიო თასზე მიზნის მისაღწევად ბოლომდე გამოწურული არგენტინა, შეშინებული და ბენვზე გადარჩენილი ირლანდია და ერთი შეხედვით უბრალო, "მუშა გამარჯვება" ნამიბიასთან.

00 10 10 000 m 10 m 1 m 1	
26 เวียงวิสิงวิสิก, 556LA D	
	а
1.1416M33CM_E120201 20.0	

სამართმშლშ-ნამიაია

სამ: (15-9) ურჯუკაშვილი (გიგაური 69), მაჩხანელი, კაჭარავა, ი. გიორგაძე, შკინინი (ხამაშურიძე 47), კვირიკაშვილი, აბუსერიძე (სამხარაძე 56); (1-8) შველიძე, ა. გიორგაძე (ხინჩაგიშვილი 56, კოპალიანი 72), ზირაქაშვილი, დათუნაშვილი, გორგოძე (დიდებულიძე 19), ლაბაძე, ურუმაძე (უდესიანი 51), ჩხაიძე - 3ლ (ა.გიორგაძე, მაჩხანელი, კაჭარავა); შვ.,3ს (კვირიკაშვილი) 6ამ: (15-9) ბოკი (იანჩისი 72), ვიტბუი, ფანზილი, პაუელი, ლანგენპოვენი, შრიოდერი (აფრიკა 59), ფანტონდერი (იანჩისი 44-55); (1-8) ლენსინხი, პორნი (მაიერი 70), ფისერი (დიუტუა 41, რედელინგპოისი 51), კაზომბიაზე, სენეკალი (კამონგა 72), ნიუვენპოისი, ბურხერი, დიუპლესი (ესტერპოიზე 41)

D SSJAU	01	a	9	6	6	3	J
<b>ბრგენტ</b> 06ა	3	3	0	0	113-18	2	14
<b>ᲡᲐ</b> ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ	3	2	0	1	124-30	2	10
ମନଙ୍କଧିତ୍ୟେମଧ	3	2	0	1	49-52	1	9
<b>ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ</b>	3	1	0	2	43-47	1	5
6080808	4	0	0	4	30-213		0

30 しつけ、19:00 065555500-263068062

ሁንታንሣወ።	חיייכנ	საპა.	eyauguy
6/0		806306085	5/3
9/0		യാഗാദാദാ	15/6
3		ഗാര്യെട്ടാര	2
43/44		გოჟვა	66/70
0	65%(	L 678012 PS00867 J	0
61%		376000	39%
66%		@0A0@0A00	34%
10:31	6	30&Md0L 22-80	2:20
11 (10)	<b>30099</b>	as (ᲮᲔᲚᲘᲗ ᲗᲐᲛᲐ <b>ᲨᲨ</b> Ი	4 (3)
	10	EM90%0 &0PUQ	
28 (16/11/1)	(30)	0.9808/.908/.90	13 (9/4/0)
8		325K035	8

წინაა არანაკლებ მნიშვნელოვანი, მეოთხე თამაში საფრანგეთთან. ამიგომ, სადღეგრძელოების დრო ახლა არ არის. არც მეხერხება. უბრალოდ, გი-ლოცავთ პირველ მოგებას, თან მთელი მსოფლიოს თვალწინ. "ევროსპორტმა" გუშინდელი მიმო-

ხილვა ასე დაასრულა - არგენტინას თითქმის განაღდებული აქვს მეოთხედფინალში გასვლა, ხოლო მეორე საგზურისთვის იბრძოლებენ საფრანგეთი, ირლანდია და საქართველო. პო, თეორიული შანსი დაგვრჩა, აბა როგორ გგონიათ?

ნიკოლოზ აგაშიძე




# **3566360...**



ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

U 17. 03ᲠMᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. 

# 16843010136 とっしんりにんり



უნგრელები ელიტ-რაუნდში გავიდნენ

#### **ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 1:0**

1:0 ტიშლერი (62. პენალტით) 26 სექტემბერი. ბულგარეთი. ალბენა. "ალბენა". 100 მაყურებელი საძართველო: ნიორაძე, რიგვავა (კაპ.) (65. რაფავა), მირცხულავა, კაკუშაძე, პაჭკორია, შონია, მუმლაძე, გუგუჩია, ანანიძე, ძალამიძე, შეყილაძე. გაფრთხილეგა: **რიგვავა (62)** არგიტრი: ს. გოროსოვოდაცკი (ყაზახეთი)

17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის სასტარტო მატჩში ხორვატებთან 0:4 წაგების შემდეგ, პერბერტ ცანკერის გუნდი გუშინ კიდევ ერთხელ დამარხცდა, ამჯერად უნგრეთთან 0:1. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯგუფიდან გასვლის ყოველგვარი შანსი დავკარგეთ

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, გუშინ გამართული მატჩი ქართველების სრული უპირატესობით წარიმართა. ორივე ტაიმში ქართველები აქტიურობდნენ და უნგრელებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს ჩვენს ნახევარზე გადმოსვლა, რასაც **თორნიკე ნიორაძის** კარში დანიშნული პენალტი და გოლი მოჰყვა. 62-ე წუთზე, ჩვენს საჯარიმოში, გუნდის კაპიტანმა **დათა რიგვავამ** უნგრელთა ფორვარდი **იშტვან კოვაჩი** თამაშის წესე ბის დარღვევით შეაჩერა. ჩვენმა გუნდმა მიღებულ გოლამდე სამი რეალური საგო ლე მომენტი ვერ გამოიყენა – ანანიძის დარტყმა ხარიხას მოხვდა, პირველი ტაიმის მინურულს გუგუჩიას დარტყმისას ბურთი ოდნავ ასცდა მეტოქის კარს, **მუმ**ლაძის დარტყმული კი უნგრელმა მცვე-ლებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს.

მეორე ტაიმში გაშვებული ბურთის მერეც სამი კარგი მომენტი შექმნეს, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლეს. ორჯერ ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფმა ძალამიძემ ვერ ივარგა, გუგუჩიამ კი მცირედით ააცილა ბურთი კარს. გუშინვე ხორვატია ბულგარეთს ეთამაშა და 2:0 დაამარცხა. შესაბამისად, ორი ტურის შემდეგ ხორვატიამ და უნგრეთმა ჯგუფიდან ელიტრა-უნდში გამსვლელი ორი საგზური გაინაღ-დეს. შაბათს, 29 სექტემბერს საქართველო და ბულგარეთი მესამე, ხოლო უნგრეთი და ხორვატია პირველი ადგილისთვის ეთამაშებიან ერთმანეთს.

"სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრეპისთვის ეს შესარჩევი ტურნირი დასრულ და. გუნდმა კვლავ უხეში შეცდომეპის გა-მო წააგო. ერთადერთი პოზიტიური ისაა, რომ ამ ნაკრებში 1992 წელს დაბადებულმა ოთხმა ფეხბურთელმა (მირცხულავა, ძალამიძე, ანანიძე, შეყილაძე) ითამაშა. მათ გამოცდილება მიიღეს და გაისად შესარჩევ ციკლს უფრო მომზადებულები შეხვდები-ან. საქართველოში დავბრუნდები თუ არა, 1992 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შევკრებ და აქედანვე დავიწყებთ იმ გუნდის მომზადებას, რომელმაც გაისად უნდა იასპარეზოს საკვალიფიკაციო ეტაპზე. ამ გუნდმა ზაფხულში რუსეთში გაიარა შეკრება და ორი ამხანაგური მატჩიც ჩაატარა. 1992 წელს დაბადებულთა ნაკრები ნოემბერში რუს თანატოლებთან კიდევ ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. დეკემბერში კი შეკრებაზე პორტუგალიაში გამეგზავრება, სადაც ასევე ორი საკონტროლო თამაშია დაგეგმილი", - მატჩის შემდეგ განაცხადა 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ჰერბერტ ცანკერმა.

დავით (3565ძე

550 055,

www.cdn.ge 259

U 19. ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

# 3an63ML

1:0 კოსტეა (24), 1:1 ბლაგიძე (56. ივანიშ-ვილის პასით), 1:2 ჩარგეიშვილი (80), 1:3

თარგამაძე (90) 26 სექტემბერი. რუმინეთი. მოგოშაია.

ტექნიკური ცენტრი საძართველო: კვასხვაძე, დაუშვილი, სანაია, გაბუნია, შონია (87. გავაშელიშვი-ლი), ჩარგეიშვილი, ღვინიაშვილი (46. ბლა-გიძე), თარგამაძე, ყენია (კაპ.) (89. ქვრივიშ-

ვილი), ივანიშვილი გაფრთხილეგა: ყენია (64) არგიტრი: დ. ჰანდურუ (რუმინეთი)

რუმინეთში მყოფმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ მეორე მატჩი გამართა რუმინელ თანატოლებთან. პირველ მატჩში განცდილი მარცხის მერე (0:2), გუშინ თამაში ქართველთა გამარჯვებით დასრულდა.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამფესიურის ცნობით, გუშინდელი მატჩის პირველი ტაიმი მასპინძელთა უპირა-ტესობით ნარიმართა. 24-ე ნუთზე ფლორინ კოსტეამ ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში და შესვენებამდე აღარაფერი შეცვლილა

**ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდმა მეორე ნახევარში ბევრად უკეთ ითამაშა, მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნა და ეს მატჩის საბოლოო ანგარიშშიც სა-

თანადოდ აისახა. 56-ე წუთზე **ივანიშვილის** ჩინებული პასი შეცვლაზე შესულმა **ბლაგიძემ** შეირგო და ანგარიში გაათანაბრა. მე-80 ნუთზე ჩარგეიშვილმა საჯარიმოს მისადგომებიდან უძლიერესი დარტყმით "ცხრიანში" ულამაზესი გოლი გაიტანა და ჩვენი გუნდი დააწინაურა. შეხვედ-რის ბოლო წუთზე კი თარგამაძემ შორეული დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

"მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრებმა ისეთი თამაში აჩვენა, რომელიც ამ ასაკის ლიდერებს ხელენიფებათ ჩვენმა გუნდმა პრწყინვალედ ითამაშა, ფეხბურთელებმა მწვრთნელის დავალებები ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს და ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. სიმართლე გითხრათ, მათგან ასეთ ლამაზ, კარგ და გამართულ თამაშს ნამდვილად არ ველოდი", ასეთი გახლდათ რუმინეთში მყოფი საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელის კლაუს ტოპმიოლერის კომენტარი.

ბუნებრივია, წარმატებული თამაშით კმაყოფილია 19-ნლამდელთა მწვრთნელი ჰაინც ტოპმიოლერი

"ამ მატჩში, განსაკუთრებით კი მეო-



რე გაიმში, ჩემმა გუნდმა ბრწყინვალედ იასპარეზა. ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპზე, ჯგუფში ძლიერი მეტოქეები გვყავს, მაგრამ ვფიქრობ, შევძლებთ ელიტრაუნდში გასვლას. ყოველ შემთხვევაში, რუმინელებთან ჩატარებულ მეორე ამხანაგურ მატჩში ნაჩვენები თამაში, ამის თქმის საფუძველს მაძლევს. თუ გუნდი ასე გამართულად და თავდადებით ითამა-შებს, ჩვენ ელიტრაუნდიდან ფინალურ ეტაპზე გასვლასაც მოვახერხებთ. მარ თალია, ბენაშვილის, მჭედილიძის, ფანცხავას სახით რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა და არაერთმა მოთამაშემ თანაგუნდელები სწორედ რუმინეთის შეკრებაზე გაიცნო, ჩვენმა ნაკრებმა მაინც შეძლო გუნდური თამაშის ჩვენება. სწორედ ეს ფაქტორი იქცა ამ მატჩის მოგების წინაპირობად. მოგებამ ჩვენს გუნდში ჩინებული ატმოსფერო შექმნა და ახლა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის მატჩებს ამაღლებული განყობით შევხვდებით".

ჩვენი გუნდი სამშობლოში დღეს გამოეგზავრება და 18-23 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მასპინძლის რანგში იასპარეზებს. მეტოქეებად ჰოლანდიის, ნორვეგიისა და ლატვიის ნაკრებები გვეყოლება.

დავით (333343)

### N CAUCASUS DIGITAL NETWORK รวรรวษกกษ ชกซหวดก สนวดก



ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;



ტელეფონის დადგმა;




კავშირი ყველგან და ყოველთვის;



ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;



ქსელების მონტაჟი და მომსახურება;



უწყვეტი მომსახურება ტექნიკური მხარდაჭერა ა გარანტირებული ჩარისჩი - ა გადაჩდა სახლიდან გაუხვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა! მხოლოდ ოპტიკურ–ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



### **ᲙᲝᲡᲒᲐᲕᲐᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲡᲭᲘᲠ**ᲓᲔ



რობორც გახსოვთ, თბილისის "მერანის" მთავარ მწვრთნელს თამაზ კოსტავას 2 სექტემბერს, "დინამოსთან" მატჩის შემდეგ ინსულტი მოუვიდა და რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს. მას ცნობიერება მალე დაუბრუნდა, მაგრამ ექიმებმა ინფარქტიც დაუდგინეს, რამაც გადაუდებელი ოპერაციის აუცილებლობა

გამოიწვია. თავიდან გადაწყდა, რომ ბატონ თამაზს ოპერაცია ავსტრიაში ჩაუტარდებოდა. ეს ჯერ არ მოხსნილა დღის წესრიგიდან, თუმცა გამოჩნდა მეორე ვარიანტიც. რამდენიმე დღეში თბილისში შვეიცარიიდან ქართველი ებრაელი მედიკოსები ჩამოვლენ და შესაძლოა, ოპერაცია მათ აქვე ჩაატარონ. თუ არადა, კოსტაქმულ დღეს, 9 ოქტომბერს გაუკეთდება.

ბატონი თამაზის გადარჩენის შანსი საკმაოდ მაღალია და ღმერთმა ქნას, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიაროს. მის არყოფნაში კი "მერანის" მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს კვლავ **დავით ეჯიბ**იშვილი შეასრულებს. სავარაუდოდ, პირველი წრის დასრულებამდე გუნდში სხვა სპეციალისტი არ მივა. დღეისთვის, ეროე-ნულ ჩემპიონატში "მერანი" სამი ქულით ბოლოსწინა ადგილზეა, "ამერთან" 0:7 განადგურებით კი გუნდი არასახარბიელო ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია. უმაღლესი ლიგის მე-7 ტურში "მერანი" ხვალ 'ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლებს.

ლევან ჯანეზაშვილი





# **გა**ხსენი...



**ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐ**ᲖᲑᲔᲒᲘ





**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲡᲘ** 

# 35LM33NRa5

**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ-ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘ** 

26 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲔᲠᲝ3ᲜᲣᲚᲘ. 300 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ.

1:0 მერებაშვილი (34. პენალტით), 2:0

სპასოევიჩი (43) ᲓᲘᲜᲐᲛᲝ: ოვონო - შ. კაშია, კრშკო, გ. კა-

შია (67. თომაშვილი), დობეში – დიღმელაშ-ვილი (61. ოდიკაძე), ხმალაძე, მერებაშვი-

ვილი (61. ოღიკაძე), ხმალაძე, მერებაშვილი, ხუციშვილი, კობახიძე – სპასოევიჩი (56. ფეიქრიშვილი).

გალბრ/ПОლ/ი დოლაძე – ქირია, სამხარაძე, ბრეგვაძე, შუშაკიძე – ილურიძე (85. მგელაძე), გამცემლიძე, ზაბახიძე (64. ზ. ტყემალაძე), მუშკუღიანი, სეფერთელაძე – დ. ტყემალაძ (34. ტყებუჩავა).

ბაზრ/Սხილბა: ილურიძე (33), მუშკუ-დიანი (33), კრშკო (62), მერებაშვილი (79), ფეიქრიშვილი (90)

ფეიქრიშვილი (90) არპიტრი: ლ. კვარაცხელია

სპძბრთველოს თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის გადადებული შეხვედრა ეროვნულ სტადიონზე გუშინ გაიმართა.

მოლოდინისამებრ თამაში დინამოელთა უპირატესობით ნარიმართა. თუმცა სტუმრები შიგადაშიგ მწვავე კონტრშეტევებით ანუხებდნენ დედაქალაქელებს

სხვათა შორის, თასის ჯგუფურ რაუნდში ასპარეზობის უფლება ჭიათურის "მაღაროელმა" პირველ ეტაპზე ბოლნისის "სიონის" ძლევის შედეგად მოიპოვა. **დუშან უპრინის** გუნდმა უფ-რო დიდი სხვაობით რომ ვერ მოიგო, ამაში ლომის წვლილი ჭიათურელთა გამოცდილმა მეკარე დოლაძემ დაიდო.

დისკვალიფიცირებული **ჯორჯ აკი-რემის** არყოფნაში გუნდის სასტარტოში ილია სპასოევიჩი გამოჩნდა და მწვრთნელის იმედები კიდევ ერთხელ გაამართლა - სწორედ მან დააფიქსირა მატჩის საბოლოო ანგარიში.

დავით (3555ძე

		-4.0	THE PERSON	20
7.8	8 M I	MI LA	i Mai Ta	1 1 1 1 1 1 1 1

292KU-927R30UU **506794-309 3448302** 806560-2500080 356000-2025

3 เพาร์ดยาลิยา ย

&MK309M-L30K&010 asasamaan-amumamanan 2200090

# amanando 633ngs.

ეროვნული ჩემპიონატის მიმდინარე სეზონში კიდევ ერთი გუნდი დარჩა უმწვრთნელოდ. გორის "დილა" არ გეგონოთ. გორელთა მთავარმა მწვრთნელმა მამუკა ვარდოსანიძემ საჯაროდ განაცხადა პოსტს მალე დავტოვებო, თუმცა ბოლო მონაცემებით ვარდოსანიძე ხვალ, 28 სექტემბერს, "მგლებთან" მე-7 ტურის საშინაო მატჩიც გაიყვანს გუნდს და დანარჩენს მერე გადაწყვეტს.

აი, გასული მე-6 ტურის შემდეგ კი "ბათუმი" მთავარი მწვრთნელის გარეშეა დარჩენილი. გასულ შაბათს ცხინვალის "სპარტაკთან" შინ მინიმალური ანგარიშით (0:1) წაგების შემდეგ, ამირან გოგიტიძე კლუბს გამოეთხოვა.

"სამწუხაროდ, შედეგი არ გვქონდა და პოსტი ამიტომაც დავტოვე. წასვლა არავის დაუძალებია. როცა მწვრთნელს შედეგი არ აქვს, უნდა წავიდეს. ამ მხრივ მეც არ ვარ გამონაკლისი. გუნდს ახლა ჩემი ყოფილი თანაშემწეები ალექსანდ-

რე კანტიძე და ავთო ნასუაშვილი ამზადებენ. ვინ გახდება "ბათუმის" მთავარი მწვრთნელი ვერ გეტყვით. ახლა სოფელში ვარ და ცოტა უნდა დავისვენო", - გუშინ "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ამირან გოგიტიძემ.

ვითარებაში გარკვევის მიზნით აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზი-დენტ ალექსანდრე ახვლედიანსაც დავუკავშირდით. ახვლედიანს ზღვისპირა კლუბთან ხშირი ურთიერთობა აქვს და ველოდით, რომ მისგან რაიმე სიახლეს შევიტყობდით. თუმცა... როგორც ირკვევა გოგიტიძის შემდეგ აჭა-რაში ფეხბურთის კიდევ ერთი თავკაცი ტოვებს პოსტს.

"აჭარის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცის პოსტზე ჩემი მმართველობის ვადა ამოინურა. გუშინ აჭარის ფედერაციაში აღმასკომის სხდომა გვქონდა და რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის ახალი არჩევნები 25 ოქტომბერს დაი-



ნიშნა. სწორედ 25 ოქტომბერს გაირკვევა, თუ ვინ უხელმძღვანელებს აჭარულ ფეხბურთს. ამირან გოგიტიძის გადადგომის ამბავი კი ვიცი, მაგრამ ამ თემა-ზე მეტს ვერაფერს გეტყვით", - განაცხადა ახვლედიანმა.

დავით (33334)







**ორი ოპერაცია**, ყავარჯნები და ლოდინი - რაც შოთა არველაძე ვალენსიურ "ლევანტეში" მივიდა, ასეთ დღეშია. ფეხბურთელის ცხოვრებაც ეგეთია, უტრავმოდ მობურთალი არ არსებობს და თუ 34 ნლისას კიდევ გინდა თამაში, მით უმეტეს ბევრ რამეს უნდა გაუძლო. ესპანურმა გაზეთებმაც ეს ფაქტები ამად გამოფინეს. არველაძე ყავარჯნებზეა შემდგარი და მაინც მისულა "ლევანტეს" ვარჯიშზე, ალბათ იმიტომ, რომ გუნდს ასე მაინც გაუშინაურდეს. Jamost პრიმერადივიზიონურ დებიუტს კი ნოემბრამდე უნდა

#### mannen



გელბ კეტაშვილი. დაიბადა 27.09.1965, თბილისი. ფეხბურთი, მცველი. თამაშობდა ქუთაისის "ტორპედოში" (1981-83), თბილისის "დინამოში" (1984-90, 1994), ლანჩხუთის "გურიასა" (1991) და თბილისის "თეთრ არნივში" (1993-94). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 3 მატჩი. 1988 წლის სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი. სსრკ უმაღლეს ლიგაში ითამაშა 164 მატჩი (4 გოლი). საქართველოს უმაღლეს ლიგაში - 9. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

### **ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ** ᲡᲢᲐᲥᲘᲠᲔᲑᲐ ᲔᲓᲣᲐᲠᲓᲝ ᲓᲔᲚᲒᲐᲓᲝᲡᲗᲐᲜ **ᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐᲨᲘ**

ვასილ აფციაური (დაბადებული 1990 წელს) და ხვიჩა მურღულია (1988) ემზადებიან არგენტინაში ედუარდო დელგადოსთან. ედუარდო დელგადოს მტკიცებით, მურღულიასა და აფციაურს შეეძლებათ, ითამაშონ საქართველოს 19 და 21-წლამდელთა ნაკრებ გუნდებში და მონანილეობა მიიღონ საქართველო-ბრაზილიის ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგურ მატჩში, რომელიც 2008 წლის მარტ-აპრილში თბილისში უნდა გაიმართოს. ედუარდო დელგადო მურღულიასა და აფციაურის თამაშის ამსახველ ვიდეომასალას მალე წარუდგენს საქართველოს ახალგაზრდული ნაკ-

რების მწვრთნელებს განსახილველად. დელგადო აგრძელებს საქართველოდან 16, 17, 18, 19 და 20 წლის ფეხბურთელთა მიწვევას და მაღალ დონეზე მომზადებას. მომზადების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. შესაბამისი მომზადების შემდეგ ფეხბურთელები წარდგენილნი იქნებიან არგენტინის საფეხბურთო კლუბებში და მონაწილეობას მიიღებენ ოფიციალურ მატჩებში. მომზადების პერიოდი (ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური) ფასიანია და არგენტინის მხარე მას არ უზრუნველყოფს. ასევე, სავი-ზო, ავიამომსახურებისა და მათი ადგილზე მომსახურების ხარჯები გაღებული უნდა იქნას მსურველთა მიერ. ფეხბურთელები არგენ-ტინაში გაემგზავრებიან მიმდინარე წლის ოქტომბერში.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად და საბუთების გასაფორმებლად დაუკავშირდით არგენტინის წარმომადგენელს, მისამართზე:



სურათზე მარცხნიდან: ვასილ აფციაური, ედუ დელგადო, ნიკო პატარქალიშეილი (ნარმომადგენელი), ხვიჩა მურლულია

ᲗᲒᲘᲚᲘᲡᲘ, ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ №4 (ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲗᲐᲜ). ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲗ, 





# 3386360... 3386360...



ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲨᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲨᲔᲒᲘ

# ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ?

"კლაუს **ტოამიოლერი** ახალი დანიშნულია საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელად და პრესკონფერენციაზე მას ერთმა ჟურნალისტმა უთხრა, ამ პოსტზე სხვა კანდიდატურებიც განიხილებოდა, მაგრამ ქართული მასმედიის ფავორიტი თქვენ იყავითო.

ცხადია, არანაირი გამოკითხვა არ ჩატარებულა ჟურნალისტებში, თუ ვინ რომელ კანდიდატს უჭერდა მხარს, მაგ-რამ პრესკონფერენციაზე მაინც ითქვა ასეთი რამ და მერე ზოგი იმაზე ეჭვობს, ტოპმიოლერს ბანანის რესპუბლიკა ხომ არ ვგონივართო.

ქართული სპორტული მასმედია იქნება ვიღაცას რაღაცაში ჯობია, მაგრამ პრობლემები აქაც უხვადაა. შეიძლება ითქვას, ვერ არის სათანადო დონეზე, რამეთუ ვერც ქვას ხეთქავს და ვერც ნაცარქექიასავით წურწურს ადენს მას. ალბათ ამიტომაცაა, რომ ზოგს ქართული მედია ქართული ფეხბურთის სუსტ პარტნიორად მიაჩნია.

ქართული კლუბებიდან თუ სხვა უწყებიდან არაერთხელ დაურეკავთ სპორტულ გაზეთებში, გუნდი ჩარტერით მიდის საევროტურნირო თამაშზე და ამა და ამ ჟურნალისტს ვეპატიჟებით, თვითმფრინავით მგზავრობის ფულს არ გადავახდევინებთო. რა თქმა

უნდა, ასეთ დაპატიჟებას თავისი საფუძველი და მიზანი აქვს. ასეთი დაპატიჟების შესახებ ძალიან კარგად უწყის გაზეთის მესვეურმაც, მაგრამ უმეტესად ყველაფერი ისე ხდება, როგორც ეს დამპატიჟებელს სურს.

შარშანდელი ამბავი. საქართველო იტალიას ხვდება და იტალიელი ჟურნალისტი ერთ-ერთ ქართველ ჟურნალისტიაო? ბატივცემული ქართველი ჟურნალისტიაო? ბატივცემული ქართველი ჟურნალისტიაო? ბატივცემული ქართველი ჟურნალისტი იგინებოდა, თანაც საკუთარ ნაკრებს მხურვალედ გულშემატკივრობდა და იტალიელ მედიელსაც გაუკვირდა გულშემატკივრის ყოფნა პრესლოყაში აბრთლაც არაერთხელ მომხდარა, რომ სანაკრებო თუ საევროტურნირო მატ-ჩებზე ქართველი მედიელები საყვარელ გუნდს ხმამაღლა რომ ქომაგობენ. აქაც ის შემთხვევაა, როცა შეიძლება ეჭვი შეიტანო იმაში, არის თუ არა საქართველო ბანანის რესპუბლიკა.

ერთხელ ასეთიც მოხდა. საქართველოს ნაკრებმა ნანატრი ფრე გაახერხა და ერთმა ჩვენმა მედიელმა მეტოქე გუნდის თავკაცს პრესკონფერენციაზე უთხრა, ვნანობთ, ქულა რომ დაგაკარგვინეთო. ალბათ, სხვა რამის თქმა უნდოდა, მაგრამ სხვა კი გამოუვიდა.

მაინცდამაინც არც ის გვიკვირს,

როცა კლუბის პრესატაშე რედაქციაში რეკავს და ითხოვს, ამა და ამ ჟურნალისტს ჩვენს გუნდზე ნუღარ დააწერინებთო. ზოგი კლუბი მხოლოდ სასურველ ჟურნალისტს უხსნის გზას.


ადამიანი ყველგან ადამიანია, სპორტულ გაზეთშიც, ტელევიზიაშიც და რადიოშიც. განსხვავება მასშტაბებშია ყველგან საკუთარი თავის თვითრეალიზაციისა და უმსგავსობის განსხვავებული შესაძლებლობებია. სპორტულ მედიას აქვს იმის უფლება, სხვაზე უკეთესად მიიჩნიოს თავი, თუმცა...

ჩვენთან ბევრს პგონია, რომ პრესატაშე და ჟურნალისტი ფაქტობრივად ერთი და იგივეა. ანუ პრესატაშეს შეუძლია ჟურნალისტიც იყოს და შესაბამისად ჟურნალისტსაც შეუძლია, პრესატაშე იყოს. აქაც ბანანის რესპუბლიკასთან უნდა გვქონდეს საქმე. ყოველივე იქამდეც კი მივიდა, რომ ჟურნალისტთა ამა თუ იმ გამოკითხვაში პრესატაშეებიც კი იღებენ მონაწილეობას, მაგრამ აქაც არ არის ვითარება მარტივი ჟურნალისტთა გამოკითხვაში მხოლოდ "რჩეული" პრესატაშეები მონაწილეობენ.

ვითარებას ისიც ამძაფრებს, რომ ზოგიერთ პატივცემულ დაწესებულებაში სპორტი და სახელდობრ ფეხბურთი მხოლოდ ის ჰგონიათ, რომ სეფერთელაძემ მიაწოდა და ხვედელიძემ გაიტანა, რომ ვინც ყველაზე უუნარო ჟურნალისტია, სპორტიც მან უნდა გააშუქოს.

ჟურნალისტიკა არის მისტიკა - ერთმა პოეტმა ასე გარითმა ჩვენი საყვარელი პროფესია. ეს ალბათ მხოლოდ მოხდენილი რითმა იყო და მეტი არაფერი, მაგრამ მაინც კარგად გამოვიდა ყველა კითხვაზე პასუხი არც ჟურნალისტიკას აქვს.

დავით თავართძილაძე



**ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲔᲒᲘ** 

# **201979U 67297620**

მოსპოვის "ლოკომოტივმა" რუსეთის ჩემპიონობის შანსი, ფაქტობრივად, დაკარგა. პრემიერლიგის ფინიშამდე ეძვსი ტურია დარჩენილი და რკინიგზელები პეტერბურგის "ზენიტს" ათი ქულით ჩამორჩებიან. "ლოკომოტივს", უკეთეს შემთხვევაში, უეფას თასის საგზურის მოპოვება და მაქსიმუმ სამეულში მოხვედრა თუ შეუძლია.

ასეთ დროს გუნდისთვის თითოეული ლიდერის უთამაშებლობა დიდი დანაკ-ლისია. "ლოკომოტივის" მთავარ მწვრთ-ნელ ანატოლი ბიშოვეცს კი ერთბაშად შვიდი წამყვანი მოთამაშის გარეშე მოუ-ნევს პერმში, "ამკარის" წინააღმდეგ გუნდის გაყვანა. "სპორტ-ექსპრესის" ინ-

ფორმაციით, ამ შვიდეულში ქართველი მცველი **მალხაზ ასათიანიც** არის.

როგორც გაირკვა, ტრავმამოშუშებულ ქართველ ლეგიონერს ექიმმა ხელოვნურსაფარიან მოედანზე თამაში არ ურჩია, ასე ტრავმის განმეორების რისკი შეიქმნებაო. პერმი ციმბირში მდებარეობს და ბუნებრივი საფარის მოვლის საშუალება არ არსებობს და ამიტომაც თანამედროვე ხალიჩა დააგეს.

ისე, ასეთი ფაქტორები საქართველოშიც რომ გაითვალისწინონ, შეიძლება, თამაშები ჩაიშალოს - აქაურ მოედნებზე თამაში ხომ არანაკლებ სარისკოა.

მერა<u>ბ მ</u>ამულაშვილი

8605030KN

# 7343060672 U97939F 3747020 W73679FF93&F

ᲛᲝᲓᲔᲑᲐᲫᲔ: ᲞᲐᲜᲐᲗᲘᲜᲐᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲕᲔᲠᲐ ᲒᲐᲕᲘᲒᲔ, ᲕᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

"მოდებაძე "მეგალურგ 2-ში" თამაშობს. ირაკლიმ ახალი კონტრაქტის გაფორმება არ ისურვა და ზაპოროჟიელთა ბოროტი ტრადიციის მიხედვით, მეორე ლიგაში გადაისროლეს. არის თუ არა ეს კლუბის საზაფხულო სატრანსფერო პოლიტიკის ჩავარდნის მაგალითი?"

ერთი სიტყვით, კლუბმა კი არ გაწყვიტა კონტრაქტი, როგორც "მეტალურგის" პრესსამსახური ამტკიცებდა, არამედ ეს თავად ფეხბურთელის სურვილი გახლდათ. მას აღარ სურდა ზაპოროჟიეში თამაში, რადგან გაცილებით საინტერესო პერსპექტივა დაინახა და დროებით მეორე ლიგაში თამაშიც კი აწყობდა. საბოლოოდ მაინც თავისი გაიტანა.

გუშინ ირაკლის უკრაინაში დავუკავშირდით და მან მომხდარით კმაყოფილება არ დამალა:

- სეზონის დაწყებამდე მინდოდა გათავისუფლება და არ მიშვებდნენ. ბოლოს კიდევ ერთხელ ცადეს ჩემი დათანხმება, ახალი კონტრაქტი ისევ შემომთავაზეს და ისევ უარი რომ ვუთხარი, მიხვდნენ, მოლაპარაკებას და მეორე გუნდში ჩემს გადაყვანას აზრი არ ჰქონდა და როგორც იქნა, კონტრაქტის გაწყვეტაზე დავითანხმე. რომ იცოდეთ, რამხელა ტვირთი მოვიხსენი.

- თუ არ მეშლება, თავისუფალი აგენტის სტატუსი გუნდში ჩარიცხვის უფლებას ახლავე გაძლევს.

- დიახ, ასეა. თავისუფალი აგენტის სტატუსით, ნეპისმიერი კლუბი განაცხადში შემიყვანს.

- "მეტალურგი" შენთვის სასურველ პირობებზე როგორ დაითანხმე? - ხელფასზე და კიდევ რაღაც-რაღაც სიკეთეებზე უარი ვთქვი და მიხვდნენ, სეზონის ბოლომდე უაზროდ ფულის ყრას კონტრაქტის გაწყვეტა აჯობებდა.

- მართალია, რომ დროებით საქართველოში თამაშს დასთანხმდი?

- ფორმის შესანარჩუნებლად ასე მირჩევნია. ახლა უკრაინაში გუნდები დაკომპლექტებულია და მათთან მოლაპარაკებას, დროებით საქართველოში ჩამოსვლა მირჩევნია. მინდა, დეკემბრამდე ფორმის შესანარჩუნებლად მანდ ვითამაშო და მერე სადმე ნორმალური კონტრაქტი გავაფორმო

ლური კონტრაქტი გავაფორმო.
- გავიგეთ, რომ საქართველოდან ერთ-ერთი გუნდის ხელმძღვანელობა დაგიკავშირდა. შეგიძლია, სახელი დაგვიკონკრეტო?

- შეიძლება, წლის ბოლომდე "ოლიმპში" ვივარჯიშო.

- მხოლოდ ივარჯიშო?

- არა მარტო, პირველი წრის ბოლომდე ვითამაშებ და მერე წავალ.

- რუსთაველებთან პირობებზე უკვე მოილაპარაკე?

- ჩემთვის ახლა პირობებს ისეთი მნიშვნელობა არ აქვს, როგორც სათა-მაშო პრაქტიკას. რაც იქნება, იქნება, ამაზე რამენაირად შევთანხმდებით. მთავარია, ზამთრამდე არ მოვცდე.

- მართალია, თითქოს, უეფას თასის შემდეგ, შენ მიმართ ათენის "პანათინაიკოსი" იჩენდა ინტერესს?

 - როგორ გითხრა, რაც ზუსტად თავადაც არ ვიცი. პირადად მე ბერძნები არ დამკავშირებიან, მაგრამ დონეცკიდან მენეჯერი დამიკავშირდა და მითხრა, რომ "პანათინაიკოსი" დაინტერესდა და მალე შეგეხმიანებიანო.

მერე ეს ლაპარაკი შეწყდა, დონეცკელებიც დაიკარგნენ, მერე უკვე კლუბში გავიგე, რომ ბერძნებმა ოფიციალური მოსაწვევი გამოაგზავნესო.

არ ვიცი, დავიჯერო თუ არა. რადგან მე არ დამიკავშირდნენ, გამოდის, სერიოზული არაფერი ყოფილა.

- შევიტყვეთ, რომ ინტერესი უკრაინულმა კლუბებმაც გამოამჟღავნეს. იქნებ დაგვიკონკრეტო, ვინ, სად, როდის?

- ლვოვის "კარპატიდან" და მარიუპოლის "ილიჩევეციდან" დამიკავშირდნენ. მარიუპოლელებს წლეულს უმაღლესში დაბრუნება სურთ და საერთოდაც, სერიოზული სამომავლო მიზნები 
აქვთ. ახლა პირველი ლიგის ლიდერებში არიან და ფეხბურთელებში ფული არ 
ენანებათ, მაგრამ გუნდის არჩევას არ 
ვჩქარობ. იქნებ, გაცილებით უკეთესი 
ვარიანტი გამოჩნდეს. მარტო დიდი ფულით არ ვსაზღვრავ, სად აჯობებს გადასვლა. მე ჯერ კარიერა უნდა ავიწყო.

- როგორც ვხვდები, ჯერ სერიოზული გუნდები არ შეგხმიანებიან.

- არც მიკვირს. "მეტალურგთახ" კონტრაქტი სამი დღის წინათ გავწყვიტე და ბევრმა გუნდმა ჩემი ამბავი არც იცის.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ რუსეთის პრემიერლიგაში გადასვლა შემომთავაზეს, მაგრამ მაშინ კლუბმა არ გამიშვა.

- რომელი კლუბი გინვევდა?

- "როსტოვი", მაშინ ჯერ კიდევ ტრავმირებული ვიყავი და რუსებისთვის ეს არც დამიმალავს. არ მინდოდა, ურთიერთობის დაწყება ტყულით, მაინც გაიგებდნენ და რა აზრი ჰქონდა. გამიკვირდა, ეს არაფერი, მთავარია, ჩამოხვიდე და გიმკურნალებთო. თუმცა, ხომ გითხარით, მაშინ უკრაინელებს ვერ შეუთანხმდნენ.

მერა**პ მ**ამულაშვილი



ირაკლი მოდებაძე კარიერას საქართველოში გააგრძელებს

ზაპოროშიის "მეტალურგში" მხოლოდ დავით კვირკველია დარჩა. ოთხი დღის წინათ, ორმხრივი შეთანხმებით, ირაკლი მოდებაძემ კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა და ექვსწლიანი მეტალურგული კარიერა წარსულს ჩააბარა.

22 წლის ქართველ თავდამსხმელზე უკრაინელები დიდ იმედებს ამყარებდნენ, ირაკლიმ გულშემატკივრებს თავი 17 წლის ასაკში შეაყვარა, როდესაც "ლიდსთან" ერთადერთი გოლით გუნდი შემდეგ ეტაპზე გაიყვანა.

მიუხედავად ხელმძღვანელობასთან უთანხმოებისა, "მეტალურგს" დასჭირდა და წლეულს უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ათენის "პანათინაიკოსთან" ათამაშეს. უკრაინული მედიის ცნობით, ის ისევერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ.

რატომ გაირბინა ქართველ ლეგიონერსა და ზაპოროჟიელებს შორის შავმა კატამ? ვინმეს ჩვენი იმპროვიზაცია რომ არ ეგონოს, უკრაინულ ინტერნეტგაზეთ "უა-ფუტბოლში" ჟურნალისტ მაქსიმ გილენკოს სტატიის ნაწყვეტს შემოგთავაზებთ, სადაც ის ზაპოროჟიელთა სატრანსფერო პოლიტიკას აანალიზებს.



# 3286360... 3286360...


ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ



**ചാക് വയ്ന്റെ സ്മാക്ക നട**്ട

# 40 MEU7940P & 409940P PODU 9440P PODU 9440P

<b>ซ</b> ีวหรวสตวตก	องผม	<b>J68</b> .	9360.9367	სშზ. სბა
	กลงๆ	Πà		
	ᲡᲔᲠᲘᲐ A, IV	ঙখন	)	
3565 355530	პალერმო-მილანი	2:1	90 Fm	4 on, 0 g.
	<b>ეს</b> პპნ:	1111		
	3ᲠᲘᲛᲔᲠᲐ, N	/ ತಿ೮%	Ω -	
<b>ᲨᲝᲗᲐ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ</b>	ოსასუნა-ლევანტე	4:1	ტრავმა	00,08
	N68C	ՈԱՈ		
	თასი	)		
୫ଅଳଧ୍ୟ <b>୪</b> .୯୬୬୧୯୬୫୯୯୬	გლექგერ60-ბირმინგემი	3:0	არ უთამაშია	0 on, 0 a
	<u>ล</u> มศลง	GIA		
	გუნ <b>ფე</b> სლიგა	,VI & C	)KN	
<b>ლ</b> 0356 JM305830ლ0	<b>ペプロレネブかるハーおとでいつ</b>	0:2	79 წთ (შეცვლაზე)	30,18
<b>い</b>	************************************	0:1	70 წთ. (შეცვლაზე)	60,08
	11 3 TER20 LICENS	5, VI &	<b>360</b>	
35070 <u>2306056090</u>	მაინცი-მ0უნხენ0		დღეს	60,02
7005k k0%5600830年n	კიოლნი-ფრაიგურგი	1:3	82 წთ (შეცვლაზე)	10,00
<b>473001 (104799)</b>	აახენი-პაფერგორნი	3:1	75 წთ (შეცვლაზე)	5 m, 0 a
ᲘᲚᲘᲐ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ	პბრლ (Bბისი-ოფენბახი	2:0	bsossashnam	5 on, 0 a
anmaan mensen	პბრლ ( <u>მბესე-ოფენ</u> ბახი	2:0	75 წთ. (შეცვლაზე)	20,03
CPUMENTOCY USAMUS	პბრლ (პბისი-ოფენბახი	2:0	ტრავმა	0 on, 0 g.
	3363	165		
	თასი	)		
ლ <b>ა</b> შა <b>३</b> ₹ᲐᲙᲝᲒᲘᲐ	სევასტოპოლი-მᲔᲢᲐᲚᲘსᲢᲘ	1:3	90 Eo	20,0 8
<b>ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲕᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘᲐ</b>	მ <b>ე</b> ტავრია	0:1	90 Fo	30,02
CHUMERTRUBUS URMUUR	ნეფტიანიკი-ზარია	2:0	90 წთ (ავტოგოლი)	110,02
30M430 ©33384343	გელიოსი-პრსენპლე	0:2	77 ნთ. (1 გოლი, შეცვალეს)	10 0, 3 8
32323 4354333	დინამო- <b>.</b> º6036M	2:0	90 წუთი	90,00
	ამსმი	alla.		
	გ <u>უ</u> ნდესლიგა		) <del>6</del> 0	
80Mm80 ප්රමාර්ජ්යවාදා	შ&ურმი-ინსბრუკი	3:0	90 წუთი	12 o, 0 a
	6363	mn		
	3 <i>Რ</i> ᲔᲛᲘᲔᲠᲚᲘᲒᲐ, ᲒᲐᲓᲐ	26020	DCC0 80&60	
67JAN KO3N83NCTN	რუგინი-სპარტაკი (ნ)	2:1	არ უთამაშია	200,-2-2
<b>অ১৪১ ১১</b> অখর১১১	რუგინი-სპარგაკი (ნ)	2:1	90 წუთი, 1 გოლი	90,18
	რუგინი-სპარტაკი (ნ)	2:1	90 წუთი, 1 გოლი	24 0, 3 2



ლაშა ჯაკობია



კობიაშვილი დაბრუნდა

შშინ და გუშინწინ არაერთ ევროპულ ლიგაში კალენდარული მატჩები გაიმართა. გასულ უიქ ენდთან შედარებით, ეს ორი დღე ქართული ლეგიონისთვის გაცილებით წარმატებული გამოდგა.

#### **ᲮᲣᲗᲘᲕᲔ ᲨᲔᲪᲕᲚᲐᲖᲔ**

ლუქსემბურგის ნაკრებთან მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ, ლევან კო-ბიაშვილმა პირველი თამაში ჩაატარა. "დუისბურგისა" და "შალკეს" შეხვედ-რაში მოედანზე იგი 79-ე წუთზე, მარცხენა მცველის, კრისტიან პანდერის ნაცვლად შევიდა და ბუნებრივია, ბევრი ვერაფერი მოასწრო. იმ დროისათვის "ხუმარებს" ორი უპასუხო ბურთი ჰქონდათ გატანილი და ანგარიში აღარც შეცვლილა. "შალკე" ბუნდესლი-გაში ჯერ დაუმარცხებელია, ოლონდ ეგაა, შვიდ ტურში მხოლოდ სამჯერ გაიმარჯვა.

სამი ქულა "კარლსრუემაც" სტუმრად მოიპოვა. ალექსანდრე იაშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა ფრანკფურტში "აინტრახტს" სძლიეს. ქართველმა ფორვარდმა ტრადიციულად, შეცვლაზე ითამაშა. მან ფრაისი შეცვალა და მინდორზე 20 წუთი გაატარა. გამარჯვების გოლი კი "კარლსრუემ" მანამდე გაიტანა. ჩვენიანმა "შპორტალისგან" 3,5 მიიღო.

მეორე ბუნდესლიგაში როგორც იქნა, პირველი გოლი გაიტანა "პადერბორნმა", მაგრამ დავით სირაძის გუნდისთვის ეს დიდი ვერაფერი შვებაა. "პადერბორნი" ამჯერად "აახენმა" დაამარცხა. სირაძეც შეცვლაზე შევიდა, 75-ე წუთზე იგი შეტევის გასაძლიერებლად ჩაერთო თამაშში, მაგრამ ერთ წუთში "აახენმა" ანგარიში 3:1 გახადა და ამის შემდეგ აღარაფერი შეცვლილა.

ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვა "ფრაიბურგმა", რომელმაც ასევე გასვლაზე **კრისტოფ დაუმის** "კიოლნი" დააჩოქა - 3:1. ამ წარმატებაში **ოთარ ხიზანეიშვილს** განსაკუთრებული წვლილი არ შეუტანია, იგი თამაშში 82-ე წუთიდან ჩაერთო.

"კარლ ცაისმა" შინ "ოფენბახს" 2:0 სძლია. იენელთა რიგებში ბოლო 15 წუთი ითამაშა გიორგი ონიანმა, ილია კანდელაკმა კი მატჩს სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალი. სხვათა შორის, "ოფენბახის" შემადგენლობაში მინდორზე ჩვენი ეროვნული ნაკრების თავკაცის ვაჟი დინო ტოპმიოლერი იყო.

მათე ღვინიანიძის "მიუნხენ 1860" დღეს სტუმრად "მაინცს" დაუპირისპირდება.

#### ᲛᲐᲠᲪᲮᲘ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲐᲖᲔ

კახა კალაძემ სრულად კი ითამაშა, მაგრამ თავი არაფრით გამოუჩენია. "მილანი" სტუმრად "პალერმოსთან" ბოლო წუთზე მიღებული გოლით დამარცხდა. არადა, ამ დროს მისმა მთავარმა კონკურენტებმა, "ინტერმა" და "იუვენტუსმა" ამ ტურში დამაჯერებლად იმარჯვეს.

#### ᲡᲘᲖᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲨᲘ

ინგლისის ლიგის თასის მესამე რაუნდში "ბლექბერნმა" შინ 3:0 გაანადგურა "ბირმინგემი". ზურაბ ხიზანიშვილი ბლექბერნელთა 16-კაციან განაცხადში კი მოხვდა, მაგრამ მარკ ჰიუზმა მისი მოედანზე გაყვანა საჭიროდ არ მიიჩნია.

#### ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲪᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

რუსულ პრემიერლიგაში გუშინ ერთადერთი, გადადებული შეხვედრა გაიმართა. ყაზანში ადგილობრივმა "რუბინმა" ნალჩიკის "სპარტაკს" 2:1 მოუგო. გადამწყვეტი გოლი თურქმა ჰასან კაბზემ გაიტანა, მაგრამ მანამდე მოწინააღმდეგის კარი ჩვენმა - მცველებმა დალაშქრეს. ჯერ ლაშა სალუქვაძემ გახსნა ანგარიში მოხდენილი თავურით, შემდეგ კი ალექსანდრე ამისულაშვილმა მეკარის მოგერიებულს დაამატა დროულად.

#### ᲝᲠᲘ ᲒᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲒᲝᲚᲘᲪ

უკრაინაში თასის მეთექვსმეტედ-ფინალური მატჩები გაიმართა. ხარკო-ვის "მეტალისტმა" გასვლით შეხვედრაში "სევასტოპოლი" 3:1 დაამარცხა. ერთი გოლი ლაშა ჯაკობიას ანგარიშზეა. კიევის "არსენალმა" ასევე სტუმრად ხარკოვის "გელიოსს" მოუგო, პირველი გოლი გიორგი დემეტრაძემ გაიტანა საკუთარი კარი კი გიორგი ციმაკურიძემ "დალაშქრა". მისი "ზარია" გასვლით მატჩში ახტირკის "ნეფტიანიკთან" დამარცხდა.

მეთექვსტედფინალის ცენტრალურ დაპირისპირებაში კიევის "დინამომ" საკუთარ მოედანზე "დნეპრს" 2:0 მოუგო. სტუმართა რიგებში ჯაბა კანკავამ 90 წუთი ითამაშა.

#### ᲨᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘᲐ

ავსტრიულ ბუნდესლიგაში გრაცის "შტურმმა" შინ 3:0 გაანადგურა "ვაკერ ინსბრუკი". გიორგი შაშიაშვილმა სრულად ითამაშა. ავსტრიული პრესის ცნობით, ქართველი მცველი ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური მოთამაშეა.

#### ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐᲛ ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ

ლიტვაში "სუდუვასა" და "ვეტრას" მატჩში სტუმრები ვახტანგ კვარაცხელიამ დააწინაურა. თუმცა რამდენიმე წუთში "სუდუვამ" ანგარიში გაათანაბრა და შეხვედრა 1:1 დასრულდა.

ლევან % ანეზა შვილი

### DUACKU UNSCREENALE URANATEE

#### ᲛᲔᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲯᲐᲙᲝᲑᲘᲐᲡ ᲨᲐᲜᲡᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ

"უპ-ფუტბოლი" პერიოდულად ამა თუ იმ გუნდის მდგომარეობას, შემად-გენლობას, პლუს-მინუსებს განიხილავს. ახლახან წავაწყდით სტატიას უჟგოროდის "ზაკარპატიეს" შესახებ. ჟურნალისტი თვლის, რომ გუნდის გაძლიერება ქართველ ლეგიონერებს შეუძლიათ.

"უჟგოროდში ძალიან ბევრს ელიან მარცვალაძისა და დიდენკოს დუეტისგან. პირველი კარგად ჩაენერა "ზაკარპატიეს" სათამაშო სქემაში და უკვე რამდენიმე დასამახსოვრებელი შეხვედრა ჩაატარა. სხვათა შორის, იგივე ითქმის მეორე ქართველზეც. ეს გუნდი დღეს კახა ალადაშვი-

ლის გარეშე წარმოუდგენელია. მან "ზაკარპატიეს" ძალა და შემართება შესძინა".

ამ სიტყვების დასტურად ბოლო ტურის შეხვედრაც გამოდგება. მართალია, "ზაკარპატიე" შინ "კრივბასთან" (2:3) დამარცხდა, მაგრამ ალადაშვილმა კრივოიროგელების დაცვა ააწიოკა და საგოლე გადაცემა გააკეთა.

ამასობაში ხარკოვის "მეტალისტის" ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებას უპირებენ ლაშა ჯაკობიას. მართალია, მან გუშინ თასზე ითამაშა "მეტალისტის" ძირითადში, მაგრამ მთავარი ჩემპიონატია. მთავარმა მწვრთნელმა მირონ მარკევიჩ-

მა უკრაინულ "სპორტ-ექსპრესთან" განაცხადა: "ჯაკობია დუბლებში ურიგოდ არ თამაშობს და ძირითადში დავაყენებთ. მას თავის გამოჩენის შანსი მიეცემა".

მარკევიჩს არ უთქვამს ჯაკობიას დუბლებში გადაყვანის რეალურ მიზეზებზე. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელს "მეტალისტთან" კონტრაქტი დეკემბერში უმთავრდება და რადგან ახალ ხელშეკრულებაზე უარი თქვა, ასე დასაჯეს. რა შეიცვალა მათ ურთიერთობაში, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, ლაშამ ხარკოველთა წინადადება მიიღო.

მერაბ მამულაშვილი





ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲨᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲒᲐ. VII ᲢᲣᲠᲘ

## **MASON 9760349**

...ᲓᲐ 17 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲠᲝᲝᲡᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ



მირო კლოზეს სამიდან ორი გოლი ტონი კროოსმა გაატანინა

"ჰამბურგთან" მაგჩის წინ, დორგმუნდის "ბორუსიის" მთავარმა მწვრთნელმა თომას დოლმა განაცხადა, HSV ჩემი ტკვილიაო. თომასს მეტი არაფერი უთქვამს, ერიდებოდა საუბარს იმ გუნდზე, რომელთან ერთადაც ჯერ სერიოზულ ნარმატებას მიაღნია, მერე კი სრული ფიასკო განიცადა. ფაქტია, რომ მატჩის შემდეგ, "ჰამბურგი" დოლისთვის უფრო დიდი ტკვილი გახდა, რადგან მისმა შეგირდებმა შეხვედრა ამაზრზენად ჩაატარეს და საკუთარი პუბლიკის წინაშე თავი შეირცხვინეს. 3 მოგება, 4 მარცხი - ჯერჯერობით შეუძლებელია იმის თქმა, თუ რას წარმოადგენს "ბორუსია" სინამდვილეში. ფაქტი ერთია: BVB ძალიან არასტაბილურია. ხოლო, თუ მხოლოდ უშუალოდ ამ მატჩით ვიმ-სჯელებთ, მაშინ "დორტმუნდზე" ერთი

საქებარი სიტყვაც კი არ დაგვცდება. "ბორუსია" "ჰამბურგისთვის" სათამაშო გამოდგა, ჩრდილოელებმა ვესტფალიელები კარგად აბურთავეს და მათსავე "ვესტფალენშტადიონზე" ფაქტობრივად არაფერი გააბედინეს. სტუმართა რიგებში უდავოდ გამორჩეულ იყო **პაულო გერერო**, რომელმაც მატჩი იდეალურად ჩაატარა (აღარაფერს ვამბობთ ვან დერ ვაარტზე). მე-7 ნუთზე "ბორუსიის" მეკარე **რომან ვაიდენფე**ლერმა, რომლისთვისაც ის დღე ნამდვილად არ იყო საუკეთესო, ბურთი ძა ლიან უხეიროდ მოიგერია. იაროლიმის თავური დარტყმის შემდეგ კი, ბურთი გერეროს მიუვიდა, რომელიც "ბორუსიის" მცველების, ბრჟენსკასა და ვიორნსის უხეირო ქმედების გამო ვაი-დენფელერთან პირისპირ დარჩა და გოლის გატანა არ გასჭირვებია. შავ-ყვითლებს არაფერი გამოსდიოდათ, რადგან "ჰამბურგი" იდეალურად გამოიყურებოდა, მაგრამ "ბორუსიას" მაინც შეეძ ლო ანგარიშის გათანაბრება: 38-ე ნუთზე, **მლადენ პეტრიჩის** მიერ შესანიშნავად შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ, HSV-ს მეკარე ფრანკ როს**ტმა** ბურთი ძლივს მოიგერია. ზუსტად 4 წუთში კი "ბორუსიას" მორიგი შოკი ელოდა: გერერომ მარჯვენა ფლანგზე გაინავარდა და ვიორნსი (რა გასაკვირია, რომ) სისწრაფეში იოლად დაჩაგრა, რის შემდეგაც გამჭოლი პასით მო-ძებნა ვან დერ ვაარტი, რომელიც ვაიდენფელერის კარის დაუცველ მხარეს უყურადღებოდ იყო დატოვებული. ჰოლანდიელმაც უპრობლემოდ გაზარდა სხვაობა და გოლთა აქტივი (უკვე 5 გო-

51-ე ნუთზე მსაჯმა ჰერბერტ ფანდელმა მასპინძლებს მოედნიდან ფლორიან კრინგე გაუძევა, რის შემდეგაც საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ დორტმუნდელები თამაშს ვეღარ გადაარჩენდნენ. სამაგიეროდ, მათ კიდევ ერთი ბურთი მიიღეს, გოლი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მარკუს ბრჟენსკას სინდისზეა. 64-ე წუთზე ამ უკანასკნელმა კატასტროფული შეცდომა დაუშვა - ბოლო კაცი იყო და **ივიცა ოლიჩ**მა მას ბურთი წაართვა, ვაიდენფელერთან მარტო დარჩა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა: 0:3. აღსანიშნავია, რომ "ბორუსია" მიმდინარე სეზონში გოლს ან საერთოდ არ უშვებს (ვესტფალიელებმა კარი მშრალად სამჯერ შეინახეს) ან თუ უშვებს, ყოველთვის სამს ან სამზე მეტს. "ვესტფალენშტადიონის" პუბლიკისგან ჩინებული ჟესტი იყო ის, რომ მიუხედავად საყვარელი გუნდის შერცხვენისა, BVB-ს ფანებმა ტაში დაუკრეს და ოვაციებით შეხვდნენ ექსბორუსიელ **ოტო ადოს**, რომელიც ახლა "ჰამბურგის" ლირსებას იცავს. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე დოლმა გულშემატკივრებს ბოდიში მოუხადა, ძალიან მტკივნეული მარცხი განვიცადეთო.

მოიგო "შალკემაც", რომელსაც ისე-ვე როგორც "ბაიერნს", ჯერ წაგება არა აქვს. "არმინიის" განადგურებიდან 3 დღის შემდეგ, გელზენკირხენელებმა "დუისბურგში" იმარჯვეს (2:0) და აღსანიშნავია, რომ "შალკემ" დიდი ხნის შემდეგ პირველად მოახერხა სტუმრად მოგება - მეტოქის მოედანზე მოპოვებული უკანასკნელი გამარჯვება ხომ 14 აპრილით თარიღდებოდა (3:0 მაინცში). და სასიხარულოა ისიც, რომ ტრავმის გამო გამოწერილი იძულებითი პაუზის შემდეგ, მოედანზე პირველად გამოჩნდა **ლევან კობიაშვილი** - ქართველმა 79-ე უთზე მარცხენა მცველი **კრისტიან** პანდერი შეცვალა. ანგარიში ჰალილ ალთინთოფმა უკვე მე-3 წუთზე, "ზებ-რების" მეკარე ტომ შტარკეს უხეში შეცდომის წყალობით გახსნა და ფანებსაც შეურიგდა - როგორც იცით, "ვა-ლენსიასთან" მარცხის შემდეგ, ჰალილს ჟურნალისტები კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდნენ, "არმინიასთან" მატჩის დროს კი თურქ თავდამსხმელს პუბლიკამაც უსტვინა. ერთადერთი, რაც "შალკეს" დაენუნება, საგოლე მომენტების ვერგამოყენებაა. **კევინ კუ**რანის გოლის შემდეგ, იმავე კურანის, ლოვენკრანდსს (ორჯერ), ბაირამოვიჩსა და ჯონსს შეეძლოთ გატანა, მაგრამ ვერ ივარგეს. ამრიგად, ზედიზედ სამ ფრეს "შალკემ" ორი მოგება მოაყოლა და სატურნირო ცხრლში "ბაიერნთან" ახლოს მოკალათდა

"ვოლფსბურგიდან" წაღებული ქუ-ლა "ვერდერს" წარმატებად უნდა ჩაეთვალოს, რადგან ბრემენელებს 11 (!) ფეხბურთელი აკლდათ და ესეც არ იყოს, "მგლებმა" ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. საინტერესო გამოდგა ორი ბრაზილიელის, ბრემენელი დიეგოსა და ვოლფსბურგელი **ჟოსუეს** დუელი. ეს უკანასკნელი საყრდენი ნახევარმცველია და სწორედ ამიტომ, მუდმივად დიეგოს წინააღმდეგ უწევდა თამაში. ვოლფსბურგელი ბრემენელს საკმაოდ კარგად ეთამაშებოდა, მაგრამ დიეგოს სრულფასოვანი განეიტრალე-ბა შეუძლებელია - "მუსიკოსთა" ფლეი-მეიერმა 48-ე ნუთზე დაანინაურა თავისიანები, მაგრამ 65-ე წუთზე წონასწორობა სწორედ ჟოსუემ აღადგინა (ჯეკოს პასით). "ვოლფსბურგს" თამაშის მოგებაც შეეძლო, ახალ ბრაზილიელ ფორვარდ გრაფიტეს ორი რეალური მომენტიდან ერთი მაინც რომ გამოეყენებინა, მაგრამ ვერცერთ მომენტში ვერ იხეირა. ფელიქს მაგათი კი თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა და ფრე კარგ შედეგად მიიჩნია. ერთი ეგ არის, რომ "ვოლფსბურგს" ბოლო 7 სა-შინაო მაგჩიდან, არცერთი არა აქვს მოგებული.

ბერლინის "ოლიმპიაშტადიონზე" კი ტურის სენსაცია გამოცხვა, რომლის ავტორიც როსტოკის "ჰანზაა" - გუნდი, რომელსაც პირველ ხუთ ტურში, ხუთი მარცხი ჰქონდა, რის შემდეგაც, ზედიზედ ორი თამაში მოიგო. "ჰერტას" ჩვენი გერმანელი კოლეგები თურმე სულ ტყუილად აქებდნენ. არადა, თამაში ისე დაიწყო, გეგონებოდათ, ბერლი-ნელები მეკლენბურგელებს კუდით ქვას ასროლინებენო - მე-2 წუთზე **მარ**კო პანტელიჩმა "ჰერტა" დაანინაურა. ჩვენ უკვე ლიდერები ვართო; სკანდირებდნენ ბერლინელი ქომაგები, მაგრამ პანტეს გოლის შემდეგ, "ჰერტა" არ თამაშობდა ისეთ ფეხბურთს, როგორიც ლიდერს შეშვენის, "ჰანზას" კი პირი-ქით, აუტსაიდერობისა არაფერი ეცხო. მე-40 წუთზე **კერნისა** და **რანის** სწრაფი კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი თავური დარტყმით დასრულდა, 53ე წუთზე **რათგების** საჯარიმო ჩანოდებას, უკვე ჰენგემ დაუხვედრა თავი და ბურთი **დრობნის** კარში გადაგზავნა, 74-ე წუთზე კი, შეცვლაზე შესულმა **რე**გის დორნმა მესამე გოლი გაუტანა დე-დაქალაქელებს (მანამდე პანტელიჩს გოლი არ ჩაუთვალეს, თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა). ამრიგად, ჩრდილო-აღმოსავლური დერბი, ყვე-ლასათვის მოულოდნელად, "ჰანზამ' მოიგო და კატასტროფული მდგომარე-ოპა გამოისწორა. შესაბამისად, როსტოკელთა დამრიგებელ **ფრანკ პაგელ**სდორფს უმუშევრად დარჩენის საფრთხე (ჯერჯერობით) აღარ ემუქრება. "ბაიერნს" "კოტბუსის" განადგურე-

ბა, მოლოდინისამებრ, არ გასჭირვებია, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ აუტსაიდერი რეკორდმაისტერს ერთი საათის განმავლობაში უძალიანდებოდა. "ენერგი" ამ თამაშისთვის მოყვარულ ბის გუნდის თავკაცმა პაიკო ვებერმა მოამზადა. "ენერგი" თავს თავიდანვე 11 კაცით იცავდა და 59-ე ნუთამდე ეს არცთუ ურიგოდ გამოსდიოდა. ოლი-ვერ კანს 90 წუთის განმავლობაში ფაქ-ტობრივად საქმე არ ჰქონია. ნავსი კი, მიროსლავ კლოზემ გატეხა, რომელმაც საბოლოოდ ჰეთ-თრიკი შეასრულა და გოლთა აქტივი რვამდე გაზარდა. პირველი გოლი კოტბუსელთა მეკარე ტომისლავ პიპლიცას უხეში შეცდომის შემდეგ გავიდა - ამ უკანასკნელმა რიბერის ჩანოდების შემდეგ, ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და პირდაპირ კლოზეს დაუგდო, რომელმაც პიპის მადლობა გადაუხადა და ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ "კოტბუსი" გატყდა, "ბაიერნს" კი მადა გაეხსნა: ჯერ **მარ**ტინ დემიკელისმა გაზარდა სხვაობა, მერე ლუკა ტონიმ რიგით მეხუთე ბუნდესლიგური გოლი გაიტანა, 75-ე და 85-ე წუთებზე კი, მირომ ჰეთ-თრიკი გაიფორმა. აღსანიშნავია, რომ ბოლ ორი გოლი კლოზემ თინეიჯერი **ტონი** კროოსის პასებით შეაგდო. ეს უკანასკნელი **ჰიტცფელდმა** მოედანზე 72-ე წუთზე, **ზე რობერტოს** ნაცვლად შეუშვა და თანაც, 17 წლის ტალანტისთვის ეს დებიუტი გახლდათ. კროოსი რე-კორდსმენია: ის "ბაიერნის" ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელმაც მიუნხენური გრანდის მაისურით უთამაშია -კროოსი გუშინ 17 წლის, 8 თვისა და 22 დღისა იყო. მან ბერქანთ გიოქთანის რეკორდი ზუსტად ერთი თვით გააუმ-

'ლევერკუზენმა" სტუმრად "ნიურნბერგის" დამარცხება შეძლო და მეორე ადგილზე დამკვიდრდა. მომდევნო ტუ-რში "ბაიერი"-"ბაიერნია" და ეს თამაში უაღრესად საინტერესო უნდა გამოვი-დეს. "შტუტგარტმა" **პილბერტის** გოლით "ბოხუმი" დაამარცხა - ჩემპიონებმა ამოისუნთქეს. გუშინდელი მატჩებიდან გამოსარჩევია "კარლსრუესა" და "ჰანოვერის" მიერ სტუმრად მოპოვებული გამარჯვებებიც - **იაშვილის** გუნ-დმა "აინტრახტს" სძლია (1:0), "წითლებმა" კი ბილეფელდიდან ნაიღეს 3 ქულა (2:0).

ลคอยวิวิธีที่ ชิวิศัก

28 სეძტემბერი. შალკე-ჰერტა. 29 სეძ-ტემბერი. ვერდერი-არმინია, ლევერკუზე-ნი-ბაიერნი, ჰამბურგი-ვოლფსბურგი, ბო-ხუმი-ნიურნბერგი, კარლსრუე-ბორუსია, კანზა-შტუტგარტი. 30 სეძტემბერი. ჰანოვერი-დუისბურგი, კოტბუსი-აინტრახტი.

#### **16**96666-61969

პორუსია: ვაიდენფელერი-5, აკგიუნი-4.5, ბრჟენსკა-5.5, ვიორნსი-5, დედე-4, ტინგა-4, ბლაშჩიკოვსკი-3.5 (75. კრუსკა), კრინგე-5.5, ფედერიკო-4 (42. ბაკლი-4), პეტრიჩი-4 (62. ვალდესი-4), კლიმოვიჩი-4.5.

ვალდესი-4), კლიმოვიჩი-4.5. **ჰამბურგი**: ფ. როსტი-3, პრეკო-3, ბ. რაინჰარდტი-3.5, მატიისენი-3, ჯ. ბოატენგი-3.5,
იაროლიმი-3, დე იონგი-3.5 (73. ო. ადო), კასტელენი-4 (46. ტროხოვსკი-3), ვან დერ ვაარტი1.5, ოლიჩი-3, გერერო-2 (79. ზიდანი).
გოლები: 0.1 გერერო (7), 0.2 ვან დერ ვაარტი (42), 0.3 ოლიჩი (64).
გაძგვება: კრინგი (51. ბორუსია).

გაძევება: კრინგე (51. ბორუსია). გაფრთხილება: 1-1; დარტყმა: 7-22; კუთხური: 4-2; ჯარიმა: 14-18; ბურთის ფლო-ბა: 41%-59%.

მაყურებელი: 72 300.

#### **ᲓᲣᲘᲡᲑᲣᲠᲒᲘ-ᲨᲐᲚᲙᲔ**

0:3

დუისბურგი: შტარკე-4, ვილი-4, ფერნას დო-4 (92. ნდუომი), შლიკე-3, კასერესი-4.5 (77. დაუნი), გრლიჩი-3, ტარარაჩე-3.5, ტიფერტი-4.5, გეორგიევი-3.5, იშიაკუ-4, ლავრი ჩი-4.5.

შალკე: ნოიერი-3, რაფინია-3.5, ვესტერმა-ნი-2.5, ბორდონი-2.5, პანდერი-4 (79. ძᲝბი)ბშ-30ᲚᲘ), ფ. ერნსტი-2, ჯონსი-2.5, ბაირამოვიჩი-3, რაკიტიჩი-2.5 (84. გროსმიულერი), ჰალილ ალთინთოფი-2.5 (66. ლოვენკრანდსი-2), კურა-ნი-3.

**გოლები:** 0:1 ჰალილ ალთინთოფი (3), 0:2 კურანი (75).

გაფრთხილება: 1-2; დარტყმა: 11-19; კუთხური: 4-7; ჯარიმა: 19-18; ბურთის ფლო-ბა: 50%-50%.

მაყურებელი: 31 500.

#### **ᲞᲔᲠ**ᲒᲐ-ᲞᲐᲜᲖᲐ

ემპოლი: ბალი, რაჯი, მარძორატი, ტოსტო (55. ბუმე), აბატე, მარიანინი (69. საუდატი), მარკიზიო, მორო (56. ვანუკი), პიკოლო, ანტონინი, ვოლპატო. გოლი: 1:0 მარტინესი (47)

გოლი: 1-0 თოფიიესი (47) გაძევება: ჯაკ. ტედესკო (89. კატანია), მარძო-რატი (90. ემპოლი) გაფრთხილება: 2-3; კუთხური: 10-6; ჯარიმა: 26-20; თამაშგარე: 2-0; კარში დარტყმა: 8-11 (7-7); ბურთის ფლობა: 51%-49%, მაყურებელი: 15 887

With which the	o	9	9	Б	ð	đ
1. രനദാ	5	3	2	0	11-4	11
2. 06കാരറ	5	3	2	0	10-3	11
3.	5	3	1	1	14-6	10
4. <b>6</b> 53നന്മറ	5	3	1	1	8-2	10
<ol><li>ട. 35ლാര് രെന്</li></ol>	5	3	1	1	8-6	10
6. <b>ᲤᲘᲝᲠᲔᲜᲢᲘᲜᲐ</b>	5	2	3	0	9-6	9
7. ১৬১Ლ১6৬১	5	2	3	0	8-5	9
8. ଅସ୍ପର୍ଗେଧ	5	2	1	2	6-9	7
9. ᲛᲘᲚᲐᲜᲘ	5	1	3	1	7-5	6
10. ლ <b>හ</b> හග	5	1	3	1	6-5	6
11. 35% 85	5	1	3	1	6-6	6
12. ജാടനാ	5	1	3	1	4-6	6
13. პატანია	5	1	2	2	3-5	5
14. പാദായനംവാ	5	1	2	2	2-6	5
15. ᲙᲐᲚᲘᲐᲠᲘ	5	1	1	3	6-8	4
16. <del>&amp;</del> M&06M	5	0	4	1	6-8	4
17. სიენა	5	0	3	2	4-8	3
18. 033円空0	5	0	2	3	1-6	2
19. ന്നാദനർ6ന	5	0	2	3	6-13	2
20. 603(06)	5	0	2	3	3-11	2
	33000	1000	200	-	WAR TO SHE	1000

ია - ითაპიძოვიი (იატერი), ტრეზეგე (ოუვენტუსი); 4 - ბორიელო (ჯენოა), მუ-ტუ (ფიორენტინა), ტოტი (რომა); 3 - დი ნატალე (უდინეზე), კ. დონი (ატალანტა), ფოჯა (კალიარი), იაკუინტა (იუვენტუსი), კაკა (მილანი), მიკოლი (პა-ლერმო), როკი (ლაციო), სალაიეტა (ნაპოლი), ძამპანია (ატალანტა).

LOMIN B	
VI ଌଅଳମ	
MC030-808069	1:0
ლი: 1:0 პერიკო (87)	
87E9U37	2:0
3 10 1: (21) 201 50 -	100

გაძევება: ტარანა (53. მანტოვა), ბალესტრი (90. მანტოვა) ልጣጣጠ6በን-አሉጋ3ን

ാന്നുവ

974U-

გოლები: 0:1 ტაკინარდი (16), 1:1 ადაილტონი (50), 2:1 მინგაცინი (59), 2:2 ჟადიდი (83)

303m-330cm6m 3:0 გოლები: 1:0 პელისიერი (73), 2:0 პელი (78), 3:0 ობინა (86) 23L/163-8633N%M

**გოლები**: 1:0 ბიანკოლინო (13-პენ), 2:0 კოპოლა

3072-0090 0:1 გოლი: 0:1 ტული (86) გაძევება: აბატე (78. პიაჩენცა), პატრასკუ (81.

3087-940009020

გოლები: 1:0 კუტუზოვი (39), 2:0 ჩერჩი (59), 2:1 გრანოკე (62-პენ) გაძევება: პეზარეზი (72. ტრიესტინა) 4733297-94MP39W

**2:1** გოლები: 1:0 პივოტო (1), 1:1 ვალერი (43), 2:1 სუჩი (65)

გაძევება: სუჩი (90. რავენა) KNONEN-OMEDES 1:0 გოლი: 1:0 ვანცაჯაცო (77)

เรวเลาจะและเรา 3.0

გოლები: 1:0 ძანინელი (11), 2:0 სავერინო (20-პენ), 3:0 გუიდეტი (60) გაძევება: სიჩინიანო (82. ფროზინონე)

#### 3083683-36305908

გოლები: 1:0 კაპონე (59), 1:1 ბერნაჩი (69)

	0	9	9	6	ð	
1. გრემა	6	5	1	0	13-3	1
2. ᲐᲚᲑᲘᲜᲝᲚᲔᲤᲔ	6	5	1	0	12-6	1
3. 30030	6	4	2	0	10-2	1
4. ლാദാ	6	4	2	0	7-2	1
5.30%	6	4	0	2	7-7	1
6. ᲒᲝᲚᲝᲜᲘᲐ	6	3	2	1	9-5	1
7. 603060	6	3	2	1	6-4	1
8. გარი	6	3	0	3	10-7	
9. <del>ᲐᲡ</del> ᲙᲝᲚᲘ	6	2	3	1	7-4	
10. മനമാട്രാ	6	2	2	2	9-7	
11. მᲐᲜᲢᲝᲕᲐ	6	2	2	2	6-4	
12. მმსინა	6	2	2	2	5-8	
13. რბ306ბ	6	2	1	3	7-10	
14. %%%%06060	6	2	1	3	5-8	
15. ക്രോദ്വാം	6	2	0	4	3-6	
16. ტრიისტინა	6	1	2	3	5-10	
17. 630000	6	1	1	4	7-9	
18. 30806G8	6	0	4	2	5-9	
19. രക്സപാരന	6	1	1	4	4-9	
20. ᲩᲔᲖᲔᲜᲐ	6	0	3	3	5-8	
21. 303R06G3	6	1	0	5	3-10	
	2. ১ᲚᲞᲘᲜᲝᲚᲔᲤᲔ 3. ᲙᲘᲔᲕᲝ 4. ᲚᲔᲠᲔ 5. ᲞᲘᲖᲐ 6. ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲐ 7. ᲠᲘᲛᲘᲜᲘ 8. ᲞᲐᲠᲘ 9. ᲐᲡᲙᲝᲚᲘ 10. ᲛᲝᲓᲔᲜᲐ 11. ᲛᲐᲜᲢᲝᲕᲐ 12. ᲛᲔᲡᲘᲜᲐ 13. ᲠᲐᲕᲔᲜᲐ 14. ᲤᲠᲝᲖᲘᲜᲝᲜᲔ 15. ᲢᲠᲘᲔᲡᲢᲘᲜऽ 17. ᲡᲞᲔᲪᲘᲐ 18. ᲕᲘᲠᲔᲜᲪᲑ 19. ᲑᲠᲝᲡᲔᲢᲝ 20. ᲩᲔᲖᲔᲜᲑ	1. みらのお 6 2. かずみりを内での30 6 3. よりの3m 6 4. 生のお 6 5. よりかと 6 5. よりかと 6 6. みりまりに 6 8. みとかり 6 9. かしよりに 6 10. おりをのもら 6 11. おとを明ると 6 11. おとを明ると 6 11. おとを明ると 6 11. みをかると 6 13. からるのと 6 14. もののもと 6 15. あんののもと 6 17. しょうのもと 6 17. しょうのもと 6 17. しょうのもと 6 19. みんがしるかり 6 20. ありかららと 6	1. み体のおめ       6       5         2. かでありんの中ののののののののののののののののののののののののののののののののののの	1. みらのみ) 6 5 1 2. かでみりらりでの30 6 5 1 3. よりの30 6 4 2 4. でのみり 6 4 2 5. よりかも 6 4 0 6. みりでから 6 3 2 7. かりのもの 6 3 2 8. みもかり 6 3 0 9. かしよりでし 6 2 3 10. みりでもら 6 2 2 11. みもをめるから 6 2 2 11. みもをめるから 6 2 2 11. みものから 6 2 2 11. みものから 6 2 2 11. みものから 6 2 2 11. からのから 6 2 2 11. からのから 6 2 1 14. であからのから 6 2 1 15. からのから 6 2 1 15. からののかり 6 2 0 16. からのいから 6 1 2 17. しょうのから 6 1 1 18. 3のおうらら 6 0 4 19. みらかしるの 6 1 1 20. ありからら 6 0 3	1. みらのか 6 5 1 0 2. かごからの何でのの 6 5 1 0 3. よののの 6 4 2 0 4. 生のか 6 4 2 0 5. よのもか 6 4 2 0 5. よのもか 6 4 2 0 5. よのもか 6 3 2 1 7. かののもの 6 3 2 1 8. もからの 6 3 2 1 8. もからの 6 3 0 3 9. かはが空の 6 2 3 1 10. の何である 6 2 2 2 11. おもものある 6 2 2 2 11. おもものある 6 2 2 2 11. おもものある 6 2 2 2 11. おもののもか 6 2 1 3 14. そのかものもから 6 2 1 3 14. そのかものもから 6 2 1 3 15. からののもか 6 2 0 4 16. からのひものも 6 1 2 3 17. よものものものも 6 1 2 3 17. よものものものも 6 1 1 4 18. るのおもらる 6 0 4 2 19. みらかもる 6 0 3 3	1. みらのみ 6 5 1 0 13-3 2. かでみりらりでの30 6 5 1 0 12-6 3. よりの30 6 4 2 0 10-2 4. 生のあり 6 4 2 0 7-2 5. よりかも 6 4 0 2 7-7 6. みかまからの 6 3 2 1 9-5 7. らりのもの 6 3 2 1 9-5 7. らりのもの 6 3 2 1 9-5 7. らりのもの 6 3 2 1 6-4 8. みもらり 6 3 0 3 10-7 9. かしよりでし 6 2 3 1 7-4 10. おけをし 6 2 2 2 9-7 11. おもをめる 6 2 2 2 2 9-7 11. おもをめる 6 2 2 2 5-8 13. らいるのものものもの 6 2 1 3 7-10 14. もらいのものものものものものものものものものものものものものものものものものもの

ბომბარდირები: 6 - ჩელინი (ალბინოლეფე); 5 - ადაილტონი (ბოლონია); 4 - გრანოკე (ტრიესტინა), ლონგო (მოდენა), ჰელისიერი (კიევო), პოსანცინი (ბრეშა); 3 - კარპარელი (გროსეტო), კასტილიო (პიზა), გუიდეტი (სპეცია), ლოდი (ფროზინონე), სუჩი (რავენა), ტაკინარდი (ბრეშა).

35KLJ9M65

### ペリリアンマムロフ പ്പലാകരിലെ കാന്ദ്രാ

<u>ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ</u> ᲒᲐᲜᲛᲣᲮᲢᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲩᲝᲡ ᲨᲔᲛᲝᲠᲘᲒᲔᲑᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ

გუშინ, რონალდინიო ცნოპილი სკანდალის შემდეგ საზოგადოების წინაშე პირველად გამოჩნდა. გაუჩომ "ბარსელონის" ბაზაზე ინდივიდუალურად ივარჯიშა. მას ფიზმომზადების სპეციალისტი გვერდიდან არ სცილდებოდა. ჟურნალისტებს არ გამოპარვიათ, რომ ბრაზილიელი უწინდებურზე ბევრად უფრო დიდი შემართებით მუშაობდა. ის დიდ დატვირთვებსაც არ უშინდებოდა. რონალდინიომ თითქმის ერთი საათი გაუჩერებლად ირბინა, შემდეგ კი კარში დარტყმებზეც გულმოდგინედ ივარჯიშა.

ამ ფაქტით გახარებულმა ფრანკ რიიკაარდმა "სარაგოსასთან" მატჩის წინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: "სწორედ რონალდინიოს დამსახურებაა ის, რომ

"ბარსელონა" თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ფლაგმანია. მისი ღვაწლი მართლაც კოლოსალური და განუზომელია. საუბედუროდ, ბოლო დროს რონალდინიოსთან დაკაშირეპით უამრავი სპეკულაცია აგორდა. თითქოს, მე მის გაყიდვას ვითხოვ. ეს გაუგონარი სიცრუეა. კატალონიაში მუშაობის პერიოდში, ერთი წამიც არ ყოფილა, როცა გაუჩოს გუნდიდან წასვლა მიფიქრია. ის ჩვენი გუნდის ულაპარაკო ლიდერია. სამწუხაროა, რომ პრესის მიერ წამოწყებული აჟიოტაჟის გამო, სიტუაცია ამდენად დაიძაბა, თუმცა გამოცდილება ერთ დამაიმედებელ გარემოებას მახსენებს. სპორტში დაძაბულობა დიდხანს არ გრძელდება. დარწმუნებული გახლავართ, რონალდინიოს მალე აღარაფერი უმახსოვრება და გულისტკივილსაც

აღარ იგრძნობს. არ დავმალავ, შეგირდი გავაკრიტიკე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მისი გუნდიდან გაგდება მქონდა გადაწყვეტილი. უდავოა, პრაზილიელს გაცილებით მეტი შეუძლია და სწორედ ამის გამო ვნუხდი. მჯერა, გაუჩო ფორმას აღიდგენს და სკეპტიკოსებს გააჩუმებს. დღეს მან ფანტასტიკურად ივარჯიშა. ასე რომ, ოპტიმიზმის საფუძველი აშკარად არ გვაკლია."

მადრიდელი ჟურნალისტები ცხადია, ისე არ მოისვენებდნენ, რომ "რეალის" მოსისხლე მტრის მთავარი მწვრთნელისთვის ირონია არ დაეპირისპირებინათ. მათი მტკიცებით, რიიკაარდი შეეცადა, სიტუაცია მოჩვენებითად დაეშოშმინებინა. სინამდვილეში კი რონალდინიოს "ბარსელონაში" მომავალი აღარ აქვს.



რონალდინიომ ვარჯიში განაახლა

სამხრეთამერიკელი ვარსკვლავის მსგავსად, ტრავმას კარლეს პუიოლი და ეიდურ გუდიონსენიც იშუშებენ. 'ბარსას" კაპიტანი უკანასკნელ სარეაბილიტაციო ეტაპს გადის. ექიმებს დიდი იმედი აქვთ, რომ მომდევნო ტურში ის ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებას შეძლებს. აი, გუდიონსენს კი კიდევ ერთი კვირით მოუწევს სამედიცინო კაბინეტში სიარული.

35505605

OKM36TEI

### 3**1L368**5 1200 **33**4M011 あってっている

ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ორი კვირის წინათ "ვალენსიაში" ვისენტეს მკვახე განცხადებების გამო სი-ტუაცია ძალიან დაიძაბა. ტრავმებით გატან-ჯულმა "ღამურების" ნახევარმცველმა კლუბის ექიმების წინააღმდეგ გაილაშქრა და ისინი არაკომპეტენტურობაში დაადანაშაულა. ამით შეურაცხყოფილმა მთავარმა ექიმმა სკანდალი ატეხა, ამას ასე არ დავტოვებ, ან ვისენტე დასაჯეთ, ან გუნდიდან წავალო. "ვალენსის" პრეზიდენ-ტმა, **ხუან ბაუტისტა სოლერმა** ამ ინციდენტის შესასწავლად და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად საგანგებო კომისია შექმნა. კომპეტენტურმა ადამიანებმა იმსჯელეს და დაასკვნეს, რომ ამ სიტუაციაში ვისენტე იყო დამნაშავე. სამედიცინო შტაბი პაციენტის ჯანმრთელოვე. აანელიციის აცაის ააციენცია ჯახიობელო-ბისთვის ყოველთვის მაქსიმუმს აკეთებს, მაგ-რამ ფეხბურთელს ნერვებმა უმტყუნა და მათ დაუმსახურებლად შეუტიაო. ამის გამო ვალენ-სიელი ფეხბურთელი 1200 ევროთი დააჯარი-მეს. აღსანიშნავია, რომ "ღამურების"ერთ-ერთი უნიჭიერესი მოთამაშე არ ცხრება და აცხადებს: "გულსატკენია, რომ კლუბის ხელმძღვანელობის მიერ შექმნილმა კომისიამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. მე მიზანმიმართულ ბრძოლას არავის წინააღმდეგ ვაწარმოებდი. გაიხსენეთ ჩემი წარსული. ტრავმა მოშუშებული არ მქონდა, რომ ახალ ტრავმას ვიღებდი. განა ეს ექიმების პრობლემა არ არ არის? თუ სხეული ცუდად მაქვს განვითარებული, სწო-რედ მათ უნდა იზრუნონ, რომ კუნთები ისე გავიმაგრო, ტრავმების ალბათობა მნიშვნელოვნად შემცირდეს. სამწუხაროდ, ფაქტობრივად, არაფერი გაკეთებულა იმისთვის, რომ ვისენ-ტეს მდგომარეობა მეცნიერულად შეესწავლათ და მისთვის შვება მოეგვარათ. კი ბატონო, გადავიხდი 1200 ევროს, მაგრამ განა ამით პრობლემა მოგვარდება?"

**&**რ\333\

### MASSON JEACEMEACEE NASSEM

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲰᲔᲡᲙᲘᲪ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ...

**მაიკლ ოუენი** ინგლისელთა მომდევნო ორ შე-სარჩევ მატჩს გამოტოვებს. "ნიუკასლის" მთავარმა მწვრთნელმა სემ ელერდაისმა ეს განცხადება ლიგის თასზე "არსენალთან" წაგების შემდეგ გააკეთა. 27 წლის თავდამსხმელს საზარდულის კუნთი აქვს გაწყვეტილი და ოპერაცია ესაჭიროება. დღეს ის გერმანიაში გაემგზავრება. მორიგი გამოკვლევის შემდეგ მას ზუსტ დიაგნოზს დაუსვამენ. თუმცა ერთი რამ დღესვე ნათელია: ოუენი ესტონეთსა (შინ) და რუსეთთან (სტუმრად) ოქტომბრის შეხ-

ვედრებში ვერ ითამაშებს. ელერდაისის თქმით, ფეხბურთელს მინიმუმ სამი კვირა გაუცდება. ოპერაციის შემთხვევაში, იძულებითი შვებულების პერიოდიც ავტომატურად გაიზრდება

ოუენს 2005 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ქრონი-კული ტრავმები აწუხებს. იმ დღეს ფორვარდმა ტერფის ძვალი გაიტეხა და თითქმის სეზონის ბოლომდე ჩამოშორდა მინდორს. მაიკლი მუნდიალზე გაემგზავრა. იქ კი მორიგი განსაცდელი დაატყდა თავს -მუხლის მყესები გაიწყვიტა და მინდორს დაბრუნება

მხოლოდ 10 თვის შემდეგ შეძლო. მან გასული სეზონის ბოლო სამი მატჩიღა ჩაატარა. მაგრამ პრობლემები ამით არ ამოწურულა. ივლისში ოუენმა ბარძაყის კუნთი დაიზიანა და პრემიერლიგის პირველ ტურში ვერ ითამაშა. სამაგიეროდ, ნაკრებსა და კლუბში ჩატარებულ მომდევნო ხუთ შეხვედრაში ხუთი გოლი შეაგდო. და აი, ისევ ტრავმა. თქტომბერში ინგ-ლისის ნაკრებს ემილ ჰესკიც ვერ დაეხმარება. 15 სექტემბერს "ფულჰემთან" მატჩში "ვიგანის" თავდამსხმელმა ტერფის ძვალი გაიტეხა.

05&3K307 3KM3560 9ML 656&M6056

# 3123335276 33UNU0136 33K

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲐᲠᲝᲒᲡ ᲒᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲘ ᲡᲔᲚᲔᲡᲐᲝᲨᲘ **Თ**ᲐᲛᲐᲨᲡ?

სანამსეზონი დაიწყებოდა, ჯოვანი დოს სანტოსმა მოსამზადებელ შეკრებაზე შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა, რის გამოც ფრანკ რიიკაარდს მის ძირითად გუნდში გადაყვანზე დიდხანს აღარ უყოყმანია. კატალონიური გამოცემები ნერდნენ, "ბარსაში" ახალი რონალდინიო გამოჩნდაო. ამრიგად, ლეო მესის შემდეგ, "ბარსელონამ" ახალი სუპერტალანტი გამოაჩინა ნარმოშობით ბრაზილიელი ჯოვანი დოს სანტოსი, რომელიც კატალონიურ გრანდში 2002 წელს მოხვდა. რონალდინიო მისი თამაშით მოხიბლული და აღფრთოვანებულია, რიიკაარდი კი, დოს სანტოსს "ბარსას" საიდუმლო იარაღს უნოდებს, მაგრამ საიდუმლოს აღარავისთვის წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჯოვანიმ დიდი ფეხბურთი უნდა ითამაშოს. მას გერმანული "შპორტ აინსის" კორესპონდენტი გაესაუბრა.

- ჯოვანი, ეს თქვენი პირველი სეზონია "ბარსელონის" ძირითად გუნდში, მაგრამ ფეხბურთში კარგად ჩახედული გულშემატკივრებისთვის უკვე დიდი ხნის ნაცნობი ხართ, რადგან ექსპერტები თქვენს ტალანტზე ჯერ კიდევ გასულ სეზონში საუბრობდნენ. როგორ გრძნობთ თავს ისეთი ფეხბურთელების კომპანიაში, როგორებიც რონალდინიო, ტიერი ანრი, სამუელ ეტო'ო ან ლეო მესი არიან?

ცხადია, ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ ისეთ გუნდში თამაშით, როგორიც "ბარსელონაა". ალბათ არ არსებობს ბავშვი, რომელიც "ბარსაში"

მოხვედრაზე არ ოცნებობდეს. ყველაფერთან ერთად ძალიან გამიმართლა და თავს უბედნიერეს ადამიანად მივიჩნევ. ახლა ყველაფერი მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული. შანსი მაქვს, დიდი ფეხბურთი ვითამაშო. ევროპის უძლიერეს კლუბში ვირიცხები და ერთი სიტყ-ვით, ყველა პირობა მაქვს შექმნილი იმისათვის, რომ უფრო ფართო მასებმა გამიცნონ.

რამდენი ხანია, რაც "ბარსაში"

- მეხუთე წელიწადი იწურება. კატა-ლონიურ გრანდში პირველად რომ მოვ-ხვდი, ბავშვი ვიყავი და მაშინ ვერ წარმომედგინა, რომ სულ რაღაც ხუთი წლის შემდეგ ძირითად გუნდში მოხვედრას შევძლებდი. იმხანად იმითაც კმაყოფილი გახლდით, რომ "ბარსას' ბავშვთა გუნდის ფეხბურთელი მერქვა. ეს სეზონი ჩემთვის პირველია ძირითად გუნდში და ჯერ კიდევ არ მჯერა, რომ თქვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ვარსკვლავების გვერდით ვვარჯიშობ. ამ ფაქტმა მოტივაცია გამიათმაგა - ახლა ჩემთვის მოლოდ ერთი რამ არის მთა-ვარი: შრომა, შრომა და კიდევ შრომა! - ამბობენ, დოს სანტოსი ყველაზე

უკეთ მესის უგებს, ლეო და ჯოვანი უახლოესი მეგობრები არიანო...

- დიახ, ეს სიმართლეა. მესისთან ყველაზე ახლოს ვარ, ჩვენ ერთმანეთს შესანიშნავად ვუგებთ. ეს ალბათ მაინც ჩვენი ასაკის ბრალია - ფაქტობრივად ტოლები ვართ და არცაა გასაკვირი, ერთმანეთს რომ დავუახლოვდით. ლეო გენიალური ფეხბურთელია და ვგონებ, ამით ახალს არაფერს ვამბობ. ამასთან, მესი არაჩვეულებრივი ადამიანია. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ყველას მასზე აბოდებს, სიამაყე ოდნავადაც არ ეტყობა, ძალიან თავმდაბალია. როცა გოგონები ავტოგრაფებს სთხოვენ, წითლდება ხოლმე

- რა გეგმები გაქვთ ბარსასთან ერ-

პირველ რიგში, საკუთარ თავზე უნდა ვიმუშავო, თანაც ყოველდღიუ რად. უპირველესი მიზანი ის არის, რომ მოედანზე რაც შეიძლება ხშირად მო-მიხდეს გასვლა. მწვრთნელს ჩემი შე-საძლებლობები დღენიადაგ უნდა ვუმტკიცო. ამასთან, თანაგუნდელებთან კარგად უნდა შევთამაშდე, რონალდინიოს, ანრის, დეკუს და სხვების სავარაუდო სვლები გაზეპირებული უნდა მქონდეს, რათა მათ კარგად გავუგო.

- ტიტულები? - რომელი ფეხბურთელი არ ოცნე-ბობს ტიტულებზე? ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ და თუ პროგრესს ასეთივე ტემპით განვაგრძნობ, ცხადია, კარიერის ბოლომდე არაერთ ტიტულს მო-

რიიკაარდი რამდენად ხშირად გესაუბრებათ? რჩევებს თუ გაძლე-

- რომ გითხრათ, განსაკუთრებუღად მეპყრობა-მეთქი, მოგატყუებთ. მისთვის მეც ერთ-ერთი შეგირდი ვარ, ზუსტად ისე, როგორც ტიურამი ან ძამბროტა. საერთოდ, რიიკაარდი ყველა ფეხბურთელებს თანაბარ ყურადღებას უთმობს, არავინ ჰყავს გამორჩეული, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. ცოტა ხნის წინათ მითხრა, შენით ძალიან კმაყოფილი ვარ, სწორ გზას ადგახარ და ასე გააგრძელეო. ჩემთვის ესეც საკ-

- მექსიკელი ხართ, მაგრამ თქვენი გვარი პრაზილიურია... - მამაჩემი პრაზილიელია

- 2005 წელს "მექსიკის" 17 წლამდელთა ნაკრებთან ერთად მსოფლი ოს ჩემპიონი გახდით და ტურნირის ვიცე-ფეხბურთელად დაგასახელეს. წლეულს კი, 20 წლამდელთა გუნდთან ერთად მუნდიალის მეოთხედფინალამდე გააღწიეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ჯერ კიდევ შეგიძლიათ მექსიკის ეროვნულ ნაკრებზე უარის



ჯოვანი დოს სანტოსი

თქმა და სელესაოში თამაში. ამაზე არ

- არა, ეს გამორიცხულია! მექსიკაში დავიბადე და გავიზარდე, რაც იმას ნიშნავს, რომ მექსიკელი ვარ. მამაჩემი რომ ბრაზილიელია, ეს არაფერს ცვლის. ჩემი მეგობრები მექსიკაში ცხოვრობენ, ჩემი სამშობლო მექსიკაა.

- მიმომხილველები რონალდინიოს გადარებენ. თქვენ რას ფიქრობთ?

- ჰო, ხშირად მეუბნებიან, ზედგამოჭრილი რონალდინიო ხარო. მას ალბათ უფრო ვიზუალურად მამსგავსებენ, რადგან ფეხბურთის თამაშით ჯერ ისეთი არაფერი გამიკეთებია, რომ რონალდინიოს შემადარონ. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ეს მოსაზრება უდიდესი პატივია. ბედნიერი ვარ, რომ რონალდინიოს გვერდით თამაშის საშუალება მომეცა.


- მიმდიანარე სეზონისგან რას ელით? როგორ გგონიათ, "რეალისა" და "ბარსას" გარდა, რომელი გუნდი მოახერხებს ჩემპიონობისთვის ბრdmmsb?

- ის დრო, როცა ესპანეთის ჩემპიონობისთვის მხოლოდ "რეალი" და "ბარსელონა" იბრძოდნენ, დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა. პრიმერადივიზიონი ძალიან ძლიერი და გაწონასწორებული ლიგაა. მაგალითად, შესანიშნავი გუნდები ჰყავთ "ვალენსიას" და "სევილიას". დიდი პოტენციალი აქვს მადრიდის "ატლეტიკოსაც"

- საინტერესოა, რამდენად კარგად ერკვევით, მაგალითად, გერმანულ ფე-

- ვერ ვიტყვი, რომ ბუნდესლიგის ექსპერტი ვარ (იცინის), მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ვერ ვერკვევი. ცხადია, ვიცი ოლივერ კანი, მიხაელ ბალაკი, მიროსლავ კლოზე, "ბაიერნი", ვერდერი" და ა.შ.

გოტფრიდ ლენცი





# LJJJAM395ML JAM3675N MSNAJ JManaganangaganangagan

inaminmodd

aneamáa



### RJABNM6L RJAZNM6NLJ!



გუშინ მსოფლიო პირველობებიდან მედლებით დაბრუნებული ფალავნები პრემიებით დააჯილდოვეს. უფრო ხვავრიელი დღე მოჭიდავე-ებს ედგათ, რადგან ორმაგი ჯილოდ ერგოთ. ძიუდოისტები თუ მხოლოდ დედაქალაქის მერიამ დააფასა, ესენი ფედერაციის სპონსორმა -ხალხო ბანკმაც დააჯილდოვა.

დაჯილდოეგის ცერემონიალიც პირველად ჭიდაობის ფედერაციაში გაიმართა, სადაც მოჭიდავეებს წარმატება ჯერ ფედერაციის პარლამენტარმა პრეზიდენტმა კახა გენაძემ მიულოცა, მერე - ბანკის მმართველმა გიორგი გოგუაძემ. შეგახსენებთ, რომ ბაქოში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე "ანტიკოსთა" ტურნირში ორი ჩემპიონი გაგვიხდა - **დავით ბედინაძე** (60) და **რამაზ ნოზაძე** (96). ამავე ნაკრებიდან ბადრი ხასაიამ (84) ბრინჯაო მოიპოვა, "თავისუფალთაგან" კი ანა-ლოგიურ წარმატებას **ოთარ თუშიშ**ვილმა (66) მიაღნია. გოგუაძემ ჩემპიონები 5 ათასი ლარით დააჯილდოვა, პრიზიორები - 2500-ით.

გენაძემ სიამოვნებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ერთბაშად ორი მსოფლიო ჩემპიონი ერთ ტურნირზე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართული სპორტისთვის პირველი შემთხვე-ვაა. მთლიანობაში, ბაქოში ჩვენი გუნდების გამოსვლა დადებითად შეფასდა, რადგან ამ ოთხი მედლის გარდა, ხუთი ოლიმპიური ლიცენზიაცაა მოპოვებული - მეხუთე "თავისუფალში" **გელა სა-**ლირაშვილმა (74) ირგუნა. ცხადია, "ანტიკოსთა" დამრიგებელი **ბეგი დარჩია** უფრო წელგამართული იყო, ვიდრე მისი კოლეგა ზაზა თურმანიძე. თურმანიძემ აღნიშნა, რომ იქნებ ეს წაფორხილება ბევრს მაგალითადაც კი გამოადგეს და ოლიმპიადის წინ გამოფხიზლდნენ. დარჩიამ ძალიან აქო ორივე ჩემპიონი, თუმცა საქებარი სიტყვები არც ხასაიასადმი დაუშურებია. თავისი წილი მიაგეს თუშიშვილსაც.

საერთოდ, ორივე მწვრთნელი გამოთქვამდა იმედს, რომ ოლიმპიადაზე უკეთესი თუ არა, ანალოგიური წარმატებით მაინც გამოვლენ. მათ არც ნაკლოვანებების აღნიშვნა დავიწყებიათ და არ დაუმალავთ, რომ ზოგიერთისგან გაცილებით მეტს ელოდნენ. ამასთან,

ერთი-ორი შეხვედრის გარდა, ნაგებები არც მსაჯებისთვის გადაუბრალებიათ. და ის გამონაკლისი შემთხვევებიც... ასე მაგალითად, ყველა ერთხმად აღნიშნავ-და, რომ **რევაზ მინდორაშვილს** (84) მასპინძელ ფალავანთან სწორედ მსაჯებმა წააგებინეს. ამ უსამართლობაზე თავი ვერც თურმანიძემ შეიკავა და მსაჯებს შეეკამათა, ეს კი ჩვენს ფედერაციას თითქმის 5-ათასდოლარიან ჯარიმად დაუჯდა. არადა, მასპინძელი დიდი არაფერი მოჭიდავე გახლდათ და მერე ირანელთან უშანსოდ წააგო. ამით მინდორაშვილიც გამოთიშა ტურნირიდს.

ორივე მწვრთნელმა დიდი მადლობა გადაუხადა ყველა იმ სტრუქტურას, ვინც მსოფლიო პირველობისთვის მზადებაში გუნდებს დაეხმარა, უპირველესად კი ოლიმპიურ კომი-ტეტს და ოლიმპიურ ფონდს. მზადების ძირითადი ტვირთი და ბაქოში გამგზავრებაც ხომ უმთავრესად მათ იტვირთეს და მთელი ეს ხანგრძლივი ციკლი თავის მოვალეობას პირნათ-ლად, ყოველგვარი ფინანსური პრობ-

ლემების გარეშე ასრულებდნენ. თავის სიტყვაში გენაძემ მოჭიდავეებს ოლიმპიადისთვის მზადებაში მაქსიმალური მხარდაჭერა და გაორმაგებული თანადგომა აღუთქვა. მან "ანტი-კოსთა" ნაკრების ძალზე წარმატებულ წლევანდელ სეზონსაც გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ დარჩია ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. თურმე ამას საერთაშორისო ფედერაციის დიდმოხელენიც კი ამბობდნენ. შეგახსენებთ, რომ "ანტიკოსებმა" წლეულს ევროპაზეც ორი ოქრო მოიპოვეს, რაც ასევე პირველია დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში. იქ ჩემპიონები ნოზაძე და მანუჩარ კვირკ-ველია (74) გახდნენ. შეხვედრის დასას-რულს მოჭიდავეებმა ძიუდოისტებსაც მიულოცეს მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული წარმატება.

მოგვიანებით მსოფლიო ჩემპიონატების მედალოსნები დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამაც დააჯილდოვა. მან ჩემპიონებს 10 ათასი, ვიცეჩემპიონს - 5, ხოლო ბრინჯაოს პრიზიასცა. აქვე ორებს 3 ათასი ლარი გად შეგახსენებთ, რომ ბრაზილიაში ჩატარებულ ძიუდოისტთა მსოფლიო პირველობაზე ირაკლი ცირეკიძე (90) ჩემპიონი გახდა, ნესტორ ხერგიანმა (60) ვერცხლი მოიპოვა, მძიმენონოსანმა ლაშა გუჯეჯიანმა - ბრინჯაო.

დასასრულს, იმასაც გეტყვით, რომ წლის ბოლოს მედალოსნები სახელმწიფო პრემიებსაც მიიღებენ. აქ მსოფლიო ჩემპიონობისთვის 15 ათასი ამერიკული დოლარის ექვივალენტური თანხაა დაწესებული, თუმცა ჩვენი ინფორმაციით, სათანადო ინსტანციებში ამ თანხის გაორმაგების საკითხიც განიხილება.

#### bocábann

รอดวบค-ครอ/ตอ๛วรบ

შშთაისი: შიშინაშვილი, ნიქაბაძე, სიხა რულიძე (2), დოლაკიძე (4), მაღლაკელიძე, ჯანაშია (3), ჯავახაძე, თუთბერიძე (7), ადა-მია (3), ჩხეიძე (4), კიზირია (1), ტულუში,

დოლიძე, თათვიძე
სტუ-თელაში: გ. ტორონჯაძე, სამყუ-რაშვილი, ქობელაშვილი, ა. ყიფიანი (25), გოგალაძე (7), ნიკოლაიშვილი, ბერძენიშ-ვილი (3), ზაალიშვილი (5), გ. კობახიძე (3), მ. კობახიძე (6), სხიერელი (3)

#### 8782mu-0190mururu

მიმ (ITIII) (ITII) 28:19
მამ (ITII) მან (ITII) გველესიანი (3), ქუთათელაძე (3), კერესელიძე (8), შონია (5), თეთრუაშვილი, დორეული, ბიდოდაშვილი, ჩაჩანიძე, კვერნაძე (4)

თგელესი: ანდრიაძე, კონჩაროვი, ი.
ტორონჯაძე, ჟლენტი, კორაქიშვილი (3),
ქარდავა (11), ნივნივაძე (17), სამარლანიშ-

ვილი (2), ქირია (4), ყაველაშვილი (2), მაი-სურაძე (3), გელაშვილი, ქუთათელაძე (4) მსპ%ებ∩ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

13:00 **სტუ/თელავი-თგილისი (ასპ)** 14:30 **გაგული-ძუთაისი (ასპ)** 

პირ3ელ ტურში, სტუ-"თელავმა" და "თბილისმა" უმოწყალო რბევა მოუწყვეს აუტსაიდერებს. ორივე ფავორიტმა სოლიდური სხვაობით იმარჯვა და ორმოცბურთიან ზღვარს გადააბიჯა. გუ-შინ კი სტუ-მ და "თბილისმა" მეტოქეები გაცვალეს. პირველი მატჩი სტუ-"თე-ლავი" - "ქუთაისი" იყო. **ირაკლი კეკე**ლიძის შეგირდებმა, რამდენიმე წამყვანი ხელბურთელის დასვენების მიუხედავად, იოლად დაჩაგრეს გამოუცდელი მეტოქე. ამჯერად, "თელავმა" გოლების "თამასა" ორმოცდაათამდე ანია და გა-

# **๗**ฦ<mark>ํ</mark>ฦЪЪЪ nKamue33ms33

დაევლო კიდეც - 52:24. აქვე ისიც ვთქვათ, რომ **ამირან ყიფიანმა** ერთბაშად 25 გოლი გაიტანა, რაც საქართველოს ჩემპიონატის რეკორდი არაა, მაგრამ შარშანდელი რეკორდის გამეორე-ბაა. წინა სეზონში, ერთ-ერთ მატჩში, 25 გოლი გაიტანა ყიფიანის თანაგუნდელმა აკაკი ტალახაძემ. ორ მატჩში გატანილი 38 გოლით, ომარ ყიფიანი სათავეში ჩაუდგა ბომბარდირთა დავას...

"თბილისი" - "მამულის" დაწყების წინ, თბილისელთა თავკაცმა **მამუკა მჟავანაძემ** ასეთი რამ მითხრა: "გამოკვეთილ აუტსაიდერებს რომ ვანადგურებთ, ცოტა არ იყოს, მეცოდებიან, მაგრამ სხვანაირად არ გამოდის, ხელბურთელებს ხომ არ ვეტყვი, გოლები არ გაიტანოთ მეთქი? სუსტ მეტოქეებთან, ხშირად ლიდერებს ვასვენებ, მაგრამ მერე სათადარიგოები "აინყვეტენ" ხოლმე, რომლებსაც უნდათ, რომ კარგი თამაშით გზა გაიხსნან ძირითადი შემადგენლობისკენ. მოკლედ, გვინდა თუ არ გვინდა, აუტსაიდერებთან მაინც დი-დი ამგარიშით ვიგებთ".

მჟავანაძის სიტყვები ზედმიწევნით ახდა. "მამულმა" მხოლოდ რვა წუთი გაუძლო მეტოქეს - ჯერ ანგარიში გახსნა, მერე ორბურთიანი ჩამორჩენა გააბათილა. ამის შემდეგ კი დადგა მამუ-


ლელთათვის კოშმარული 18-ნუთიანი მონაკვეთი, რომელიც "თბილისმა" 18:1 მოიგო და მატჩის ბედიც იქვე გადაწყდა. თბილისელთაგან, ვისაც არ ეზარებოდა, ყველამ შეარხია მეტოქის კარის ბადე. ერთი ეგ არის, რომ მამუკა მჟავანაძის სამწყსოს სტუ-"თელავის" მიერ აწეულ თამასაზე გადასავლებად სულ ცოტა დააკლდა - 46 გოლი გაიტანა. რომ მოენდომებინა, ალბათ ორმოცდაათამდეც დაამრგვალებდა, მაგრამ საა მისოდ დიდად არც გამოუდვია თავი რაში სჭირდებოდა?

ᲔᲠᲝ3ᲜᲣᲚᲘ <u>ᲩᲔᲛᲞ</u>ᲘᲝᲜᲐᲢᲘ

აი, დღეს კი ნამდვილად არ ექნებათ შეგირდებისთვის გოლების გატანა და-საშლელი მჟავანაძესა და მის კოლეგა ირაკლი კეკელიძეს, რადგან მათი გუნდები ერთმანეთს ხვდებიან. 13 საათზე, სტუ და "თბილისი" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, რომელთა ჯახიც ბოლო ორი წელიწადია, განსაკუთრებულ ინ-ტერესს იწვევს. ვნახოთ, ვინ უფრო ძლიერი აღმოჩნდება საჩემპიონო მარულის სტარტზე.

#### 

The second second	O	а	9	6	ò	1
<u>სტუ</u> -თელავი	2	2	0	0	+57	4
のるの空のもの	2	2	0	0	+54	4
ವಿಶಿವದು	2	0	0	2	-52	0
იკიაიიი	2	0	0	2	-59	0



## **6**ാഷെസാമാനായ ഉപ്പാരാ പ്പെട്ടെ പ്രാധിക്കാന

სპორტისა დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა** გუშინ საკუთარ კაბინეტში უმასპინძლა ხელბურთის ფედერაციის ახალ პრეზიდენტს თამაზ თევზაძესა ფედერაციის სხვა თანამშრომლებს. სპორტის დე-პარტამენტმა გადაწყვიტა, აღადგინოს ხელბურთის ფედერაციასთან დროე-ბით შეწყვეტილი ხელშეკრულება და ქართულ ხელბურთს სერიოზულად ამოუდგეს მხარში.

თევზაძემ ნამგალაურს გააცნო ქართული სამუშაო გეგმა და ქართული ხელბურთის განვითარების პროგრამა. პროექტი ითვალისწინებს ხელბურთის ფედერაციის სტრუქტურულ რეორგანიზაციას, ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატების, ეროვნული ნაკრების და რეგიონების პროგრესს, ბაზების რეაბილიტაციას, მწვრთნელთა და მსაჯთა სემინარებს, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას.

თევზაძის თქმით, უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ მოახლოებულ "ჩელენჯ ტროფიზე", ეროვნულ ნაკრებს ეყოლება ახალი მთავარი

მწვრთნელი. მერაბ მეტრეველი ევროპის ხელბურთის ფედერაციის დელეგატია, რომელსაც "ჩელენჯ ტროფიზე" დელეგატობა მიანდვეს და ასეთ შემთხ-ვევაში, ნაკრებში მუშაობის უფლება არ აქვს. ახალ მთავარ მწვრთნელს კი ამ დღეებში დაამტკიცებს ფედერაციის პრეზიდიუმი.

დავით ნამგალაურმა ხელბურთის ფედერაციას მაქსიმალური თანადგომა აღუთქვა და რამდენიმე საკმაოდ საინტერესო დაპირება მისცა:

1. სპორტის დეპარტამენტმა მოინონა ხელბურთის განვითარების პროგრამა და ხელბურთის ფედერაციას პროექტში თანადგომას ჰპირდება. თუკი ხელბურთის ფედერაციის პროგრამა სპორტის სამინისტროსაგანაც დაიმსახურებს მოწონებას (რაც სავსებით მოსალოდნელია), მისი ბიუჯეტი სოლიდური იქნება.

2. 2008 წლის შემოდგომამდე, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, დასრულდება ხუთი სტანდარტული ხელბურთის მოედნის მშენებლობა. ამას გარდა, ბაზების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, გარემონტდება გლდანის ხელბურთის ცენტრიც. მთლიანობაში, მომავალი წლის ბოლოს, ქართული ხელბურთის ინფრსატრუქტურა მოწესრიგებული უნდა იყოს.

3. სპორტის დეპარტამენტი ხელბურთის ფედერაციას დაეხმარება სპონსორების მოძიებაში, რომლებიც გაიღებენ თანხას ეროვნული ჩემპიონატის და იუბების განვითარებისთვის. თავის მხრივ, ხელბურთის ფედერაციაც ვალდებულია, რომ ბიზნესში ჩართულ ხელბურთელებთან საერთო ენა გამონახოს.

4. კალათბურთის, ფრენბურთისა და რაგბთან ერთად, მომავალი წლიდან, სპორტის დეპარტამენტი ხელბურთშიც საკუთარ თავზე იღებს ერთ-ერთი ასაკობრივი ჩემპიონატის ჩატარებას, რასაც შემდგომში ყოველნლიურად გააკეთებს.

დასასრულ, ნამგალაურმა იმედი გამოთქვა, რომ თამაზ თევზაძე თავისი პრეზიდენტობის ერთწლიან ვადაში იმდენს გააკეთებს, რომ მომავალ არჩევნებში, მისი თანამდებობის დაკავების სურვილი არავის გაუჩნდება.

კობა ხატისაშვილი





# JManagan bykamangagam

ans singular

#### 3acamasamn

#### **LE2U33KU** a)がいれることが

ესპანეთში შეკრებაზე მყოფი "კიე-ვის" შემადგენლობაში საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა მანუჩარ მარკოიშვილ-მა, რომელმაც ტრავმის გამო "ვალენსიასთან" მატჩი გამოტოვა, ხოლო 25 სექ-ტემბერს "ბილბაოს" 15 ქულა ჩაუგდო. მანუმ 22 წუთი ითამაშა, 4-დან 4 სამქულიანი, 3-დან 3 საჯარიმო ზუსტად შეასრულა და 15 ქულით "კიევის" სნაიპერი გახდა. მას ორით ჩამორჩა გამოცდილი მარკუს ფეისონი. "კიევი" 75:80 დამარცხდა.

მარკოიშვილის გუნდი უკრაინაში კვირის ბოლოს დაბრუნდებიან და შიდა ჩემპიონატისთვის მზადებას კიევში განაგრძობს. უკრაინის პირველობა 6 ოქტომბერს დაიწყება. სადებიუტო ტურში კიევი" ლვოვის "პოლიტექნიკას" დაუპირისპირდება. ზუსტად ერთ თვეში, უკრაინის ჩემპიონები ულების თასის გათამა-შებაში ჩაერთვებიან, სადაც 6 ნოემბერს, იტალიაში "ბენეტონს" გაეჯიბრებიან. ტრევიზოს ამ კლუბში მანუჩარ მარკოიშ-ვილი 2002-03 წლების სეზონში თამაშობდა და იტალიის ჩემპიონატიც მოიგო.

#### **MBBCAL CELMA** にいっという

სხ3ბ ქართველი ლეგიონერების დარად ათამაშდა გიორგი ცინცაძეც, რომელმაც ივლისში "გარტუ როკთან" კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. ესტონეთის ჩემპიონატის დაწყებამდე ტარტუელები სა-კონტროლო მატჩებსა და შეჯიბრებებს მართავენ. ერთ-ერთი ასეთი ტურნირი ქა-ლაქ რაკვერეში მიმდინარეობს. ნახევარფი-ნალში ერთმანეთის წინაშე "როკი"-"კრაფ-ტი" და "პირატა"-"რაკვერე" წარდგნენ.

პირველ მატჩში გიორგი ცინცაძის თანაკლუბელებმა "კრაფტს" თავ-ბედი ანყევლინეს - 98:52 დაამარცხეს. ცინცაძემ შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და მოედანზე ზუსტად 20 წუ-თი დაჰყო. დროის ამ მონაკვეთში მან 2დან 2 ორქულიანი, ერთიც სამქულიანი ჩააგდო და საბოლოოდ 7 ქულა ჩაინერა, რასაც 2 პასი და 1 ჩაჭრა მიამატა.

#### **amnray** 342000 **esonam**

"პახას" მიერ ჩატარებულ ბოლო 4 მატჩში საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი ტაირონ ელისი სნაიპერობას არავის უთმობდა. თუმცა მეხუთე შეხვედრაში ბომბარდირობა თანაგუნდელ კაროლს (18 ქულა) გადააბარა, თვითქონ კი 10 ქულას დასჯერდა. "კახამ" "გრანადა" 73:47 დაამარცხა. შეხვედრის დასრულების შემდეგ ტაირონ ელისმა ასეთი კომენტარი გააკეთა: "ჩვენი გუნდი მოსამზადებელ ეტაპს წარმატებით გადის. ვფიქრობ, ესპანეთის პირველობა სათანადო ფონმაში შევხვდე-ბით. "გრანადასთან" მატჩმა კი დაგვანახვა,

#### amaásann


გუშინ ბათუმის ტურნირის ძირითადი ბადის შეხვედრები დაიწყო. როგორც იქნა, ბუნებამ ქალაქს მოწყალე თვალით გადმოხედა და მზის სხივები არ დაიშურა. სამწუხაროდ, დამარცხდა სოფიო შაფათავა, რომელმაც გერმანელ **რია დორნემანთან** 4:6, 1:6 დათმო შეხვედრა. ეკატერინე გორგოძე უკრა-ინელ სეხნიას, გვარად ოვდიენკოს ხვდებოდა. პირველ სეტში ქართველმა ჩოგბურთელმა 6:4 გაიმარჯვა, მეორეში კი 6:5 იგებდა, როდესაც მის მეტოქეს კორტზე ფეხი გადაუბრუნდა და ტრავმის გამო შეხვედრის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ავსტრიელ ანა ბარტენშტაინს კი თინათინ ყავლაშვილმა აჯო-

კიდევ ერთი შეხვედრა, რომელშიც ორი ქართველი მონაწილეობდა, **ოქსა**ნა კალაშნიკოვასა და სოფიკო ქვაცაბაიას შორის გაიმართა. დაძაბული შეხვედრაში პირველი სეტი კალაშნიკოვამ 6:4 მოიგო, თუმცა, მეორე სეტში თავად დამარცხდა 5:7. გადამწყვეტი პარტია კი კალაშნიკოვას უპირატესობით წარიმართა. ქვაცაბიამ მხოლოდ ორი გეიმის მოგება შეძლო, საბოლოოდ მესამე სეტში კალაშნიკოვამ 6:2 გაიმარჯვა.

გავესაუბრეთ აჭარის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ედნარ დიასამიძეს, რომელიც ბათუმური ტურნირისა და მისის სამომავლო პერსპექტივების შესახებ "ლელოსთან" ისაუბრა.

- მართალია, გასულ წლებთან შედარებით, საპრიზო ფონდი ნაკლებია და 25 ათას დოლარს შეადგენს. თუმცა, როგორც საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა აღნიშნა, ეს ოპტიმალური გადაწყვეტილებაა. მართალია, დაბალრეიტინგიანი ტურნირია, მაგრამ გაცილებით მეტ ქართველს მიეცა თავის გამოჩენის საშუალება.

# 333. **0**10630116 **69 U3P729**



ოქსანა კალაშნიკოვა

- ცნობილი გახდა, რომ საჩოგბურთო კორტებს გაყიდვას უპირებენ. თუ ასე მოხდა, მაშინ ტურნირის ჩატარება საფრთხის წინაშე დადგება...

- ეს ჩემი კომპეტენცია არაა და კონკრეტულ პასუხს ვერ მოგცემთ. თუმცა, შემიძლია დაგამშვიდოთ, რომ ბათუმში იგეგმება 4 კორტის დაგება, 4 საჩოგბურთო მოედანი დაიგება ჩაქვში. თუ სად, ამის შესახებ მერიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება და უახლოეს მომავალში გაირკვევა. აქვე გეტყვით იმასაც, რომ სასტუმრო კომპლექს "მარინას" ტერიტორიაზე დაიგება ოთხი კორტი. ასე რომ, ბათუმი უჩოგბურთოდ არ დარჩება. აქვე მადლობა მინდა გადავუხადო ამ ტურნირის მუდმივ სპონსორს, ბათუმის ნავთობტერმინალს, რომელიც მუდამ ჩვენს გვერდით

- ამდენი კორტი კი გვექნება, მაგრამ ჩოგბურთელები?



ედნარ დიასამიძე

- სამწუხაროდ, ასეა. თუმცა, ვიმედოვნეპ, რომ მომავალში ეს გამოსწორდება. წლევანდელ ტურნირში საკვალიფიკაციო ბადეში ბათუმელმა ჩოგბურთელმა ნინო მოწყობილმა იასპარეზა. სამწუხაროდ, დამარცხდა, თუმცა, ძალზედ პერსპექტიულია და მისი იმედი გვაქვს.

> ირაკლი Დპრცმელიძე 35000906 ავტორის ფოტოები

#### SAMESOUNDER SANSA

საძართველოს პროფესიული კრივის ასოციაცია ახალი სეზონისთვის ემზადება. ოქტომბრიდან, კვლავ ახმიანდება ვერის ბაღის კრივის დარბაზი და მოკრივეები ქამრების დაცვას დაიწყებენ. გვესაუბრება პროფესიული კრივის ასოციაციის გენერალური მდივანი ზურაბ კიკნაველიძე.

. ოძტომპრიდან, ახალ სეზონს დავიწყებთ. როგორც იცით, შვიდი ქამრიდან გავათამაშეთ ექვსი, ხოლო 79 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქამარს ჯერ არ გამოსჩენია მფლობელი, რაკიღა ამ წონის ლიდერები, პირადი პრობლემების გამო, აქამდე ვერ შეთანხმდნენ ბრძოლაზე. პრეტენდენტები მაშინ იჩხუბებენ, როცა ერთმანეთთან შეთანხმებას მიაღწევენ.

ოქტომბრიდან უკვე გათამაშებული ექვსი ქამრის მფლობელები ტიტულს

## LՈᲣᲠᲞᲠՈՖՈ maaaaka

პირველი მფლობელი გამოუჩნდება. პარალელურად, ჩავატარებთ სარეიტინგო ორთაბრძოლებსაც.

ზაფხულში, მუშაობა არ შეგვიწყვეტია. გავარემონტეთ ვერის ბაღის კრივის დარბაზი, გასახდელები თუ საშხა-

მიუხედავად იმისა, რომ ახლა არდადეგებია, ჩვენი მოკრივეებიდან ყველა არ ისვენებს. მაგალითად, ახლა უკრაი-ნაში იმყოფება სამი ქართველი - პექა საჯაია (63 კგ), კობა ქარქაშაძე (66 კგ) და ზურაბ ნონიაშვილი (მძიმე), რომლებიც სარეიტინგო ორთაბრძოლებს მარ-

- ძმები ჯომარდაშვილები საზღვარგარეთ აპირებდნენ კარიერის გაგრძელებას...

. - შალვასა და ლევანის საკითხზე ახლაც აქტიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ უცხოელებთან. საუბარია მათ გადასვლაზე ან ერთ-ერთ ცნობილ გერმანულ კლუბში, ანდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. წლის ბოლომდე, ყველაფერი გაირკვევა.

- დაგეგმილი იყო, რომ რამაზ ფალიანს საქართველოში ჩაეტარებინა ერთი საერთაშორისო ბრძოლა...

- რამაზი ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებშია. მის შესახებ უკანასკნელი ინფორმაცია ის გვაქვს, რომ წარბი გაიხეთქა და ბოლო შეხვედრა წააგო. რამაზთან დაკავშირებას დიდი ხანია, უშედეგოდ ვცდილობთ და თავადაც არ შეგვხმიანებია.

ჯერ არ ვაპირებდი ამის თქმას, მაგრამ მაინც გაგიმხელთ, რომ ნოემბერში, ქართველ გულშემატკივარს სიურპრიზს ვუმზადებთ. კონკრეტულად, გვინდა, რომ სპორტის სასახლეში ჩავატაროთ გრანდიოზული საკრივო შოუ, სადაც გავათამაშებთ საქართველოს ქამრებსაც, ჩამოვიყვანთ უცხოელ მოკრივეებსაც, ჩავაგარებთ საერთაშორისო ორთაბრძოლებს და იქვე რამაზ ფალიანიც იჩხუბებს. სწორედ ამიტომ ვცდილობთ რამაზთან დაკავშირებას, ვიმედოვნებ, ნოემბრამდე ყველა საკითხს მო-

კობა **ხ**ბტისაშვილი



## 3)@JL3@; ajgamlagj **87949366397**5

პიდევ სამი დღეც და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სნავლა განახლდება, მაგრამ გააჩნია სად როგორ. რეორგანიზებული სპორტის აკადემია, მაგალითად, თავის 69-ე სასწავლო წელს ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრირებული შეხვდება. აკადემიის იურიდიული და სპორტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები შესაბამის სასწავლებლებში გადანანილდნენ, პედაგოგიური და მწვრთნელთა ფაკულტეტები უნივერსიტეტში დარჩ-ნენ. ადრე ვწერდით, რომ ამ უნივერსიტეტთან სპორტული ცენტრი - სპორტის აკადემია შეიქმნა და არმიის სპორტკლუბის შენობაში განთავსდა, მერე შეიცვა-ლა ეს გადაწყვეტილება და ცენტრმა გვერდით მდებარე "ქარიშხალაში" გადაი-ნაცვლა. ვერ გეტყვით, რომ "ქარიშხალაზე" პირობები ის არის, რაც უნდა იყოს. გამოსავლის ძიებაში კი გაჩნდა ახალი წინადადება. ამბობენ, ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტს, მიერთებული სპორტის აკადემიით და მომავალში კიდევ უფრო გამსხვილების პერსპექტივით, იმავე უბანში, სადაც ასკ-ა და "ქარიშხა-ლაა", ანუ ვაკე-საბურთელოს შემაერთებელ გზის პირას მდებარე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყოფილ ნაგებობას გადასცემენ. თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება, სპორტის აკადემიისთვის მინიმუმ სივიწროვის პრობლემა გადაიჭრება, სპორტული ბაზები კი, როგორც ვთქვით, იქვეა, ორ ნაბიჯზე...



# genegun eeg P747V013366LPP013

საძარ030ᲚᲝᲡ ნაკრების ფლანკერმა რატი ურუშაძემ ნამიბიის 30:0 ძლევა ქართული რაგბის ისტორიის უდიდეს მომენტად შერაცხა. "ეს დღე საუკეთესოა ქართული რაგბის ისტორიაში. ჩვენ ჯერ მოყვარულები ვართ მოგებებში, ეს ხომ პირველი გამარჯვებაა, ასე რომ, არ ვიცი, როგორ ვიზეიმებთ მას"

მესამე ლელოს გამტანი დავით კაჭა-რავა ამბობს: "ვიმედოვნებ, რომ მთელი საქართველო გახარებულია და ზეიმობს ჩვენს გამარჯვებას. და მე ვულოცავ მთელს ქვეყანას. ბედნიერი, ვარ რომ ამ მატჩის მონაწილე ვარ'

15 ქულის მომტანი 10 ნომერი მერაბ კვირიკაშვილი მატჩის საუკეთესო მო-რაგბედ აღიარეს: "ვითამაშე უდიდესი ემოციით. მხოლოდ მე არ ვიყავი საუკეთესო, მთელი გუნდი ასეთი იყო"

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი დავით ჩავლეიშვილი: "ეს მხოლოდ რაგბის გამარჯვება არაა, ეს მთელი საქართველოს გამარჯვებაა"

გიორგი შკინინი: "საქართველოს ძალა მის მორკინალთა დიდებული თამაშშია. ჩვენი დამრტყმელი ძალა შერკინებაა"

**ჰაკის ჰუსელმანი,** ნამიბიის მთავარი მწვრთნელი: "თავიდანვე არ წაგვივიდა თამაში, როგორც გვსურდა. შინ დამარცხებულები ვბრუნდებით, თუმცა უნდა ვაღიარო, უკეთესმა გუნდმა

ქის ლენსინხი, ნამიბიელთა კაპიტანი: "სათამაშო გეგმა კი გვქონდა, მაგ-რამ ძალან ბევრი შეცდომა დავუშვით და მათ ეს შეცდომები გამოიყენეს"

მალხაზ ჭეიშვილი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი: "ამ მატჩს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის. ყველამ დიდი ჯაფა ჩადო ამ მატჩის მოგებისთვის. ჩვენ ეს მოგება ძალიან გვიჭ-რდებოდა და მიზანსაც მივაღნიეთ". **ალანეტ რამპი** 

**M**თხშაბათს საქართველომ მსოფლიო თასზე პირველი, ისტორიული გამარჯვება იზეიმა, ლანსში კოკისპირული წვიმის თანხლებით ნამიბია 30:0 გაანადგურა.

როგორც მოსალოდნელი იყო, დ ჯგუფის ორი აუტსაიდერი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთა შერ-


ინებაში. ცუდი ამინდის გამო ლანსის პუბლიკა შეეგუა მეტოქეთა უნებლიე შეცდომებს და მოემზადა ულელოო თამაშისთვის. თუმცა ქართველებმა დაამტკიცეს, რომ ამინდი ხელს ვერ შეუშლიდათ. ფულბეკი მალხაზ ურჯუკაშვილი იყო წამომწყები ლელოების პირველი უსერიოზულესი შეტევისა.

მატჩის გმირი: მალხაზ ურჯუკაშვილი, რომელსაც ვერაფერი დააკლო ნვიმამ. ურჯუკაშვილი მუდამ მწვავედ უტევდა ნამიბიელებს. მატჩში, რომელიც წააგავდა მკლავჭიდს, ურჯუკაშვილმა სოლიდურად ითამაშა და ბრწყინვალე რაგბი აჩვენა.

მატჩის amao6ტი: გევრი მომენტი არ იყო დასამახსოვრებელი ამ შეხვედრაში, თუმცა ირაკლი მაჩანხელის დაჯახება და კონტრშეტევა, რომელმაც ქარველთა მეორე ლელო შვა, საქართველოს ნაკრების გამარჯვების საწინდარი გახდა და ლანსის გალუმპული პუბლიკაც გაახალისა.

მატჩის ანტიგმირი: ჯიგრიანი თამაში იყო, ანტირმირი მას არ ჰყოლია.

35508 65880



მალხაზ ურჯუკაშვილი და მერაბ კვირიკაშვილი საუკეთესო მოთამაშის პრიზ





26 GOJASORAS, GOGA DANOGN, A P2947-799

სამ: (15-9) კრიჩტონი, ფაატაუ (ლემი 60), მაპუსუა, სევეიალი, ა. ტუილაგი, ფუიმა-ნოო-საპოლუ (ლუი 70), პოლუ (სოოიალო 70); (1-8) ლეალამანუა (ლელეიმალეფაგა 70), შვალგერი (სეფო 73 სბ 76), ჯონსტონი ლაფაიალი, თომპსონი (ტეკორი 64), სიტი-

ლაფაიალი, თომპსონი (ტეკორი 64), სიტი-ტი, პერდი, ვაელუაგა (ულია 67) - 3ლ (ფაა-ტაუ, ტუილაგი, თომპსონი); 2გ,2ს (კრიჩტონი) აშშ: (15-9) ვაილსი, სიკა, ელოფი, ესი-კია (ტუიპოლოტუ 73), ნგვენია, ჰერკასი, ერსკინი; (1-8) მაკდონალდი (მოაეკიოლა 68), ლენცი, ოსენტოვსკი, პარკერი, მექს-ტედი, სტენფილი, ქლევერი (ბარდეტი 45), მოუნგა სპ 52 (ეილორი 64) - 2ლ (ნგვენია, სტენფილი); გ,3ს (ჰერკასი)

NECES A	on	а	9	6	ð	3	đ
<u>ს.ბ</u> ფრეკა	3	3	0	0	125-32	2	14
&M639	3	2	0	1	69-60	1	9
068 <b>200</b> 0	3	2	0	1	72-68	1	9
60000	4	1	0	3	69-143	1	5
১৪৪	3	0	0	3	46-78	1	1

28 LOJ . 23:00 0685C0L0-8M685 30 ᲡᲔᲥ, 22:00 Ს.ᲐᲤᲠᲘᲙᲐ-ᲐᲨᲨ



## C&6 JUECECHEC 3*ᲠᲐᲜ*ᲓᲔᲑᲐᲛᲓᲔ!

საძართველოს რაგბის კავშირის ერთ-ერთმა პარტნიორმა "ბტა სილქ როუდ ბანკმა" კაფე "მსოფლიო სპორ**გში"** ბორჯღალოსნების საქომაგოდ ჟურნალისტები, ვეტერანი მორაგბეები და თანამშრომელი რაგბის ქომაგები შეკრიბა. დარბაზში დასაწყისში დაძაბული ატმოსფერო სუფევდა. თუმცა ყველას იმედის ნაპერწკალი ენთო თვალებში. ქართველი მორაგბეების თავდადებული თამაშისა და წარმატების მიღნევის ყველას სჯეროდა. მიუხედავად იმისა, რომ "სილქროუდი" სტუმრებს შესანიშნავი ვახშმით გაუმასპინძლდა, ამისთვის არავის ეცალა.

ვითარება კაფეში არც პირველი ნახევრის დასრულების შემდეგ შეცვლილა. მართალია ბორჯღალოსნები მშრალი ანგარიშით იგებდნენ 13:0, მაგრამ წინ კიდევ მთელი ორმოცი წუთი იყო. ჩვენმა მორაგბეებმა ცოტა კიდევ გვანერვიულეს, მაგრამ დასკვნით ნაწილში ანგარიშში სხვაობა საკმაოდ სოლიდური გახადეს. ზეიმი, რაც უნდა საკვირ ველი იყოს, ღრეობაში არ გადაიზარდა. სიხარულის გამომხატველი შეძახილებისა და მილოცვების შემდეგ შეკრებილი საზოგადოება მალევე დაიშალა.

ვალტერ ძაპანაძე, ვეტერანი მორაგბე: - აღფრთოვანებული ვარ ჩვენი გუნდის ფიზიკური მზადყოფნით. ბიჭები აშკარად კარგად არიან მომზადებული. მე-გახლდით საქართველო-ირლანდიის თამაშზე საფრანგეთში, სადაც თამაშის შემდეგ მორაგბეებთან საუბრის საშუალება მომეცა. ყველა ერთხმად აღნიშნავდა რა კარგად ამზადებდნენ მათ ფიზიკურად. განვლილმა სამმა თამაშმა გვიჩვენა, რომ ჩვენი ნაკრები უკვე ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალად გადაიქცა. ნამიბიასთან მშრალი ანგარიშით გამარჯვებით კი ჩვენი ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა საერთაშორისო ასპარეზზე.

603% მამრიპიშვილი, ვეტერანი მორაგბე: - ეს გამარჯვება მოსალოდ-ნელი იყო. ბიჭებს რაც შეეძლოთ ყველაფერი გაიღეს. მეტოქე აბსოლუტურად ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ თუმცა შეიძლებოდა თავისთვის უფლება მიეცათ, უფრო მეტად ეთამაშებინათ უკანა ხაზი. ამის პოტენციალი გუნდს ნამდვილად გააჩნია. თუმცა, მთავარია, რომ დასახული მიზანი შევასრულეთ!

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



ნიაზ მამრიკიშვილი, ვალტერ კაპანაძე

としららい あいしょうとにんしょう BANK REPUBLIC

るとしょう あいしょ ひょうしょう 3ᲠᲔᲡᲠᲔᲚᲘᲖᲘ 27 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2007

#### ...030&M3, ᲠM3 Ჩ3ᲔᲜ Გ30Ყ3ᲐᲠᲡ ᲠᲐᲒᲑᲘ!..

2007 წლის 27 სექტემბერს, 13 საათზე, თბილისში, ბანკ "რესპუბლიკის" სათავო ოფისში, გაიმართება პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნება რაგბის მსოფლიო თასზე საქართველო-საფრანგეთის გუნდების თამაშს. როგორც ცნობილია, 30 სექტემბერს, მარსელში (საფრანგეთი), გაიმართება მატჩი საქართველოსა და საფრანგეთის რაგბის გუნდებს შორის. საქართველოს გუნდის მხარდასაჭერად, ბანკ "რესპუბლიკის" მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, ბანკის VIP კლიენტები მიწვეულნი არიან ამ თამაშზე, ასევე, Societe Generale Village-ში ამ მატკლიენტები მიწვეულნი არიან ამ თამაშზე, ასევე, Societe Generale Village-ში ამ მატ-ჩისადმი მიძღვნილ წვეულებაზე. აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებაზე მოხვედრა შე-უძლიათ მხოლოდ ჯგუფის VIP კლიენტებს, ბანკის სპეციალური მოწვევით. პრესკონფერენცია გაიმართება 13 საათზე, ბანკ "რესპუბლიკის" ცენტრალურ ფი-

ალში. სიტყვით გამოვლენ: • ბანკ "რესპუბლიკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ლაშა პაპაშ-

ვილი;
\* ბანკ "რესპუბლიკის" გენერალური დირექტორი ბ-ნი ი. ჟილბერი.
ჯგუფი Societe Generale თავისი სასპონსორო საქმიანობის ძირითად აქცენტს რაგბიზე აკეთებს. იზიარებს რა საერთო ლირებულებებს (დინამიზმი, გუნდური სულისკვეთება და პროფესიონალიზმი), რაგბისთან ურთიერთობას ჯგუფი განიხილავს როგორც გრძელვადიან პარტნიორობას.
რაგბით Societe Generale პირველად 1984 წელს დაინტერესდა საფრანგეთის ჩემ-პიონატის, Chellenge Jean Bouin - Trophee Societe Generale-ს დროს. 1987 წელს ურთიერთობა გალრმავდა პირველი ოფიციალური პარტნიორული ხელშეკრულებით აიონატის, Criefferge Jean Bourn - Propried 3 ენნის მარტნიორული ხელ შეკრულებით თიერთობა გაღრმავდა პირველი ოფიციალური პარტნიორული ხელშეკრულებით Federation Francaise de Rugby-სთან. 1999 წელს Societe Generale გახდა Ligue Nationale de Rugby-ს პარტნიორი. ამ გადაწყვეტილებით ჯგუფმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თავის კავშირს პროფესიული რაგბის განვითარებასთან, ფრანგული ჩემპიონატის გაზრდილ პოპულარულობასთან და წარმატებასთან.



## 336538 192066 3**3**69333

ტონში იმედი აქვთ, რომ წლევანდელი გუნდი ჩემპიონობის რეალური მაძიებელი პირველივე სეზონში იქნება. **რეი ალე**ნისა და კევინ გარნეტის ტრანსფერებით, "სელტიქსს" არა მარტო თავის დივიზიონში, არამედ იქნებ სრულიად ლიგაშიც კი საუკეთესო დამრტყმელი სამეული ჰყავდეს. სამეული, რო-მელსაც შემცვლელები არ ჰყავს და სახელფასო ლიმიტსაც თუ გავითვალისწინებთ, ალბათ, არც ეყოლება.

"სელტიქსი" რეგულარულის დაწყებამდე წინასასეზონო მზადებას ნაწილობრივ ევროპაში გაივლის. გუნდის სიმბოლოდ ქცეულ პოლ პირსს ეიმედება, რომ ბებერი კონტინენტის სავარჯიშო-სალაღობო ტური, მისი ახალი თანაგუნდე-ლების უკეთ შესწავლაში დაეხმარება. "ევროპაში ორ ტესტ-მატჩს ჩავატარებთ და თუ გავითვა-

ლისწინებთ, რომ საერთო ჯამში, იქ 6 დღეს დავყოფთ, ეს დრო ერთმანეთზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისი უნდა იყოს. ბოსტონში-უკვე ჩემპიონობაზე საუბრობენ, თუმცა ამაზე ფიქრი ჯერ ადრეა. თუ გუნდმა გუნდური კა-ლათბურთი ვერ ითამაშა, რამდენიმე ინდივიდუალისტი ამ დიდი მისიის ბოლომდე მისაყვანად საკმარისი არ იქნება", მიაჩნია პირსს, რომლის გუნდიც ლიგის ყველაზე მეტგზის (16) ჩემპიონი კი არის, მაგრამ 1986 წლის შემდეგ ფინალსაც კი ვერ მიუკაკუნა.

"სელტიქსმა" შარშანდელი რეგულარული ოდენ 24 გამარჯვებით დაასრულა და დრაფტზე პირველ-მეორე არჩევანსაც უმიზნებდა, მაგრამ ლატარეამ სხვაგვარად დასვა ყველაფე რი და "სელტიქსსაც" რადიკალურად განსხვავებული გეზის

აღება მოუხდა.

პირსმა გუნდური თამაში ახსენა, მაგრამ ამისთვის ჯერ ხომ უშუალოდ გუნდი უნდა იყოს. "ბოსტონს" კი დიდი სამეუ-ლის გარდა, საშუალო დონის მოთამაშეებიდან მხოლოდ ჯე**იმს პოუსი** თუ ჰყავს.

ტონი ალენი, რაჯონ რონდო, სკოტ პოლარდი, ბრაიან სკალაბრინი, გლენ დევისი, ედი ჰაუსი, ლეონ პოუ, გეიბ ფრუიტი და ბრენდონ უოლასი – აი, ის, რაც "სელტიქსს" ამ

მომენტისთვის გააჩნია. "2-3 გამოცდილ მოთამაშეს აუცილებლად დავიმატებთ, რადგან თუ უმაღლესი მიზნები გვაქვს დასახული, სათანადო შემსრულებლებიც უნდა გვყავდეს. თანაც, ტრავმისგან არავინაა დაზღვეული და თუ რომელიმე ლიდერი მწყობრიდან გამოვა, დანგრეულის ხელახლა შენება არ უნდა მოგვიხდეს", - ასეთია პირსის აზრი.

როგორც გახსოვთ, რამდენიმე კვირის წინათ ლეგენდა-რულმა **რეჯი მილერმა** "ბოსტონში" (და ნებისმიერ სხვა გუნდშიც) კარიერის განახლებაზე უარი განაცხადა, "სელტიქს-



პოლ პირსი ახალ სეზონს იმედიანად ელის

მა" კი მოლაპარაკება კიდევ ერთ მივიწყებულ ვარსკვლავთან, ლატრელ სპრიუელთან დაიწყო, თუმცა ამ პროცესის შესახებ ახალი ჯერ არაფერი ისმის.

პირსი: "გამოგვადგება თუ არა ლატრელი? ამაზე საუბარიც კი არ არის, რადგან სპრიუელი არაჩვეულებრივი მოთამაშეა და როგორც ვიცი, ახლაც აქტიურად ვარჯიშობს. მთა-ვარია, ლატრელს დიდ კალათბურთში წარმატებით დასაბრუნებლად საკმარისი მოტივაცია თუ ექნება. უგუნდოდაა ჩემი მეგოპარი კიტ ვან ჰორნიც, სხვეპის მოძებნაც შეიძლება.'

კვირას "სელტიქსი" რომში გაფრინდება და ჯერ აპენინებზე, მერე კი ლონდონში ორ წინასასეზონო შეხვედრას გამართავს. 6 ოქტომბერს "ბოსტონი" რომში **ანდრეა ბარნიანის** "ტორონტო რეპტორზს" დაუპირისპირდება, ხოლო 4 დღის შემდეგ კი ლონდონში "მინესოტას" წინააღმდეგ გავა მოე-

პირსის ცხრაწლიანი ბოსტონური კარიერისას, გუნდმა მხოლოდ სამი საპლეიოფო სერია მოიგო, მაგრამ წლეულს, მინიმუმ აღმოსავლეთის ფინალში თუ ვერ გავიდა, "სელტიქსში" ძალიან ბევრი შეიძლება, უმუშევარი დარჩეს.

"ბოსტონის" მთავარი იმედი გარნეტია, რომელსაც აღარ მოუწევს ტიმ დანკანისა და დირკ ნოვიცკის, იაო მინისა და ამარე სტაუდმაიერის, შონ მერიონისა და ტრეისი მაკგრეიდის წინააღმდეგ ოთხ-ოთხჯერ თამაში და გაცილებით მეტი სათარეშო სივრცე ექნება. შეგახსენებთ, რომ გარნეტი "ბოსტონმა" "მინესოტას" ერთბაშად 7 მოთამაშეში გაუცვალა. პირსი: *"კევინი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მოთამაშე*ა.

შეიძლება ითქვას, მისი ფანი ვარ. გარნეტი "ყველა ვარსკვლავის" მატჩის 10-გზის მონაწილეა და ამდენი წლის განმავლობაში თავის გუნდს მარტო მიათრევდა. "სელტიქსს" უმდიდრესი ისტორია აქვს, რომელიც დიდმა მოთამაშეებმა დაწერეს. ყველა ახალ ლარი ბერდს ელის და კევინს თავისუფლად შეუძლია "სელტიქსის" ფანებისთვის ისეთივე მასშტაბის ფიგურად იქცეს, როგორიც მისტერ ბერდი იყო



ფერნანდო ალონსო

სეზონის ამ დროს, ფორმულა ერთში პილოტების გუნდიდან გუნდში გადასვლის პერიოდია. მაგრამ ამჯერად, ეს პროცესი აშკარად შენელებულია, ამის მიზეზი კი ისაა, რომ შესაძლოა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ესპანელმა **ფერნანდო ალონსომ** "მაკლარენიდან" წასვლა ისურვოს. ამდენად, არც გუნდები ჩქარობენ ახალი კონტრაქტების გაფორმებას და არც პილოტები. გუნდებს იმედი ქვთ, რომ ალონსოს გადაბირებას შეძლებენ, პილოტები კი მოულოდნელად წარმოქმნილი ვა-

კანსიის დაკავებას იმედოვნებენ. გუნდებს შორის ყველაზე აქტიური "რენოა", რომელთან ერთადაც, ალონსო ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ფრანგული გუნდის იტალიელი შეფი ფლავიო ბრიატორე არ მალავს ესპანე-

#### OSOMUSMACON INCOME

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

## устепия **L79472FG34W** rankre namer

ლი პილოტით დაინტერესებას. თუმცა, თავად ალონსო ჯერ გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს.

მართალია, მასა და "მაკლარენის" შეფ რონ დენისს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბულია, მაგრამ ესპანელის მენეჯერი ლუის გარსია ირნმუნება, რომ ალონსო სხვაგან გადასვლას, ჯერჯერობით, არ აპირებს. ან კი რად უნდა გადავიდეს, თუკი დენისი აცხადებს, რომ ყველაფრის მიუხედავად, ალონსოსა და მის ბრიტანელ თანაგუნდელს, ფორმულა ერთის დებიუტანტსა და ჩემპიონატის ლიდერ **ლუის** ჰემილტონს თაბარი ტექნიკით უზრუნველყოფს? შესაძლოა, მის სიტყვებს ბევრმა არც დაუჯეროს, მაგრამ ბელგიაში ხომ აშკარად გამოჩნდა, რომ ულარენში" არანაირ ფავორიტიზმს ადგილი არ აქვს!

მაგრამ თუ ალონსო "რენოში" დაპრუნდება, იქიდან წამოსვლა იტალიელ ჯანკარლო ფიზიკელას მოუწევს. "მაკლარენში" ესპანელის ადგილზე ყველაზე მეტად, ალბათ, "უილიამსის" გერმანელი ნიკო როსბერგის მიწვევას ისურვებენ. მართალია, ფრენკ უილიამსი ამას გამორიცხავს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მის საჯინიბოს ფინანსური პრობლემები აქვს, "მაკლარენს" კი ამ პრობლემების ნაწილობრივ გადაჭრა შეუძლია, ეს ვარიანტი სიმართლისგან შორს არ უნდა იყოს.

მეორე ვარიანტია ალონსოს ადგილზე "ბეემვე ზაუბერიდან" გერმანელი

ნიკ ჰაიდფელდის გადაბირება. ამ შემთხვევაში, გერმანულ-შვეიცარიულ საჯინიბოს დენისი ფულით ვერ მოხიბლავს. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, გამოცდილი მენეჯერი საჭირო არგუმენტებს აუცილებლად გამონახავს. ესეც რომ არა, ალონსოთი დაინტერე-სებას არც "ბეემვე ზაუბერი" მალავს, რომელიც აუცილებლად დათანხმდება ალონსოსა და ჰაიდფელდის გაცვლაზე.

აღსანიშნავია, რომ ფიზიკელამაც უკვე დაიწყო თავის მომავალზე ზრუნვა. მას "რენოსთან" კონტრაქტით კიდევ ერთი სეზონი აკავშირებს, მაგრამ გუნდში ალონსოს დაბრუნების შემთხვევაში, სწორედ იტალიელს მოუწევს სხვაგან გადასვლა. ამიტომ, ფიზიკოს მენეჯერი ენრიკო ძანარინი უკვე რამდენიმე გუნდთახ მოლაპარაკებას.

სხვათა შორის, მომდევნო სეზონის-თვის "რენოსთან" კონტრაქტი გარანტირებული არც ფიზიკელას ფინელ თანაგუნდელ ჰეიკი კოვალაინეს აქვს. თუმცა, ამ სეზონის შედეგების მიხედ-ვით, ის აშკარად სჯობნის თავის გამოცდილ კოლეგას და ამდენად, მასზე მყარი პოზიციაც აქვს.

ყველაფერი ეს ჯერ მხოლოდ ვარა-უდებია. რეალურად კი რა მოხდება, ამ-ას ალბათ, სეზონის ბოლომდე გავიგებთ. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ გაურკვევლობა წელიწადის ბოლომდე შენარჩუნდეს...

მერაბ ლორთძიფანიძე

NOAC66NA

#### S (4) (1) (1) (1) (1) e e communicações

#### aacm cman6anu **ᲔᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲭᲘᲠᲔᲡ**

ბრაზილიალი ჩოგბურთელი **მარსელო მელო** 2-თვიანი დისევალიფიკაცი-ით დასაჯეს. წყვილთა თანრიგში თამაშით ცნობილ ჩოგბურთელს, ივნისში, ლონდონის "ქუინზ კლაბის" ტურნირზე აღმოუჩინეს დოპინგი და ეს სასჯელიც ამით არის გაპირობებული.

მელო ორწლიანი დისკვალიფიკაციისგან იმან იხსნა, რომ პრაზილიელი დო-

პინგს სპორტული შედეგების გასაუმჯობესებლად არ იყენებდა. ATP-ის გადაწყვეტილებით, მელოს "ქუინზ კლაბსა" და აშშ-ის ღია პირვე-ლობაზე მოპოვებული ქულები და ჰონორარებიც ჩამოერთვა.

#### **ᲐᲜᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲥᲕᲘᲠᲐᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ**

ბელბიელი ჩოგბურთელის **ჟუსტინ ანენის** ოფიციალურ ვებ-გვერდზე გაჩნდა ინფორმაცია რომ მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ნომერი მომავალ კვირას დაუბრუნდება აქტიურ სპორტს.

ანენს აშშ-ის ლია პირველობის შემდეგ WTA-ს არცერთ ტურნირში არ მიუ-ლია მონაწილეობა. ეს ნაწილობრივ ძველი ტრავმითაც იყო განპირობებული.

მომდევნო ტურნირი, რომელშიც ანენი მიიღებს მონანილეობას, მომავალ ორშაბათს, გერმანიის ქალაქ შტუტგარტში დაიწყება. ამის შემდეგ, ბელგიელი ჩოგპურთელის გეგმებში ციურიხის ტურნირში (15-21 ოქტომბერი) და წლის შემაჯამებელ ჩემპიონატში (მადრიდი, 5-11 ნოემბერი) მონანილეობა შედის.

ออตราเอกลอก

#### 3355374637 9FLLAGGELLA **ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐ&Ი ᲛᲘᲘᲚᲝ**

30ᲚᲝᲛᲠᲒᲝᲚᲔᲚᲗᲐ საერთაშორისო კავშირმა (UCI) 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი დაასახელა. სამი წლის შემდეგ, პირველობას ავსტრალიის ქალაქი მელბურნი მიიღებს.

მასპინძლის არჩევისას, მელბურნის კონკურენტი ბაჰრეინი იყო, თუმცა კავშირის შეფებმა ავსტრალიელებს მიანიჭეს უპირატესობა. UCI-ის პრეზიდენტ პეტ მაკუეიდის განცხადებით, მისი ორგანიზაციის მიზანი ყველა კონტინენტ-

ზე ველოსპორტის პოპულარიზაციაა. შეგახსენებთ, რომ 2008 წელს მსოფლიო ჩემპიონატი იტალიის ქალაქ ვარაზეში გაიმართება, 2009 წელს - შვეიცარიის მენდრიზიოში, 2011 წელს კი, დანი-ის დედაქალაქ კოპენჰაგენში. წლეულს კი, პირველობას შტუტგარტში მასპინძ-

9PA8353 1

#### ᲞᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ **Ც**ᲕᲚᲘᲡ

**ფორმულ**ბ 1-ის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე "ჰონდამ", 2008 წლის სე-

ზონში თავისი საჯინიბოს შემადგენლობა გამოაცხადა. საგაისოდ საპრიზო პილოტები არ შეიცვლებიან - "პონდას" ბოლიდებით კვლავაც ბრაზილიელი **რუბენს ბარიკელო** და ინგლისელი **ჯენსონ ბატონი** იასპარეზებენ. ეს ინფორმაცია გუნდის დირექტორმა **ნიკ ფრაიმაც** დაადას-

#### ᲛᲝᲡᲚᲘ ᲛᲐᲥᲚᲐᲠᲔᲜᲡ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIA), ჯაშუშური სკანდალის გამო, "მაკლარენის" დასჯის სამართლიანობაზე აგრძელებს პოლემიკას. ამ თემაზე ჟურნალისტებს FIA-ს პრეზიდენტი **შაქს მოსლი** ესაუბრა.

ვგრძნობ, რომ ერთადერთი საშუალება, რაც 2008 წლის ჩემპიონატს პრესტიჟს შეუნარჩუნებს, პირველობიდან "მაკლარენის" გაძევება იქნება. ასევე სამართლიანი იქნებოდა ამ გუნდის პილოტების დასჯა და მათთვის ქულების ჩამორთმევა, მაგრამ საბჭოს სხდომაზე სალი აზრი ემოციებმა გადაძალეს. მაგრამ, თუ FIA-ს ექსპერტები დაამტკიცებენ, რომ "მაკლარენის" ბოლიდში "ფერარის" ინტელექტუალური შესაძლებლობებია გამოყენებული, ჩვენ მკაცრი ზომების მიღება მოგვინევს. ჩვენს გულშემატკივრებს პა-ტიოსანი და სამართლიანი პრძოლის გარანტიები სჭირდებათ", - აცხადებს მაქს მოსლი.

#### <u>ᲠᲐᲘᲙᲝᲜᲔᲜᲘ ᲒᲣᲥᲛᲔᲘᲥᲔᲠᲗᲐ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲒᲘᲐ</u>

მომაპალ უიქ ენდზე ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი - იაპონიის გრან-პრი გაიმართება. "უილიამ ჰილის" ბუკმეიკერებმა უკვე და-იწყეს რბოლის სავარაუდო გამარჯვებულებზე ფსონების მიღება. ინგლისელი ბუკმეიკერების აზრით, ფინიშზე პირველი მისვლის ყველაზე მე-

ტი შანსი "ფერარის" ფინელ პილოტ **კიმი რაიკონენს** აქვს. მისი კოეფიციენტია - 1.5. შემდეგ მოდის **ფერნანდო ალონსო** "მაკლარენიდან" - 1.875, ხოლო მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ **ლუის ჰემილტონი** ("მაკლარენი") და **ფელიპე** მასა ("ფერარი") - 4.0.

შეგახსენებთ, საერთო ჩათვლას ჰემილტონი ლიდერობს, რომელსაც სულ მცირედით ჩამორჩება თანაგუნდელი ალონსო.

#### ᲒᲝᲦᲒᲘ ᲬᲐᲡᲣᲚᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ

"ფერბრის" შეფმა **ჟან ტოდტმა** უარყო გავრცელებული ჭორები იმის შესა-ხებ, თითქოს ამ სეზონის შემდეგ, ის ფორმულა 1-ის დატოვებას აპირებს. პრესის ინფორმაციით, 61 წლის ტოდტის შემცვლელად, სკუდერიას ყოფილ ტექნიკურ დირექტორს, როს ბრაუნს ამზადებენ.

"რსად წასვლას არ ვაპირებ, რადგან. ბოლომდე "ფერარის" ერთგული ვრჩები. ჩვენ თითქმის ერთდროულად დაგკარგეთ მიხაელ შუმახური, როს ბრა-უნი და ახლა კიდევ, რორი ბირნი. ამ გარდამავალმა პერიოდმა ისედაც ბევრი პრობლემა მოგვიტანა და ახლა ჩემი წასვლა ღალატის ტოლფასი იქნება", - ამბობს ტოდტი.

#### **ᲞᲐᲜᲘᲡᲘ ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ** ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲒᲐᲜᲒᲘ **Ი**ᲥᲜᲔᲑᲐ

სულ მალე, სარბოლო სერიის - "A1 გრან-პრის" მორიგი ჩემპიონატი დაიწყება. როგორც ცნობილია, აქ იღენტური შესაძლებლობების მანქანებით სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებები იბრძვიან პირველობისთვის.

საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ თავის რიგებში კონსულტანტად ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი **ოლივიე პანისი** მიინვია, რომელმაც შარშან დატოვა "ტოიოტას" რიგები.

'ოლივიეს ცოდნა და გამოცდილება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, ვინაიდან ამ სეზონში უმაღლესი მიზნები დავისახეთ, კერძოდ, ტიტულის დაბრუნება გვაქვს განზრახული", – განაცხადა "A1 გრან-პრიზე" საფრანგეთის ნაკრების დირექტორმა ერიკ ბულიემ.





ფლოიდ ლენდისი

&7 40 3 3 47 PC

### ᲚᲔᲜᲓᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲡ **നമാ**ഗത്താം പ

მიუხეფავაფ იმისა, რომ ამერიკელ ფლოიდ ლენდისს დოპინგის გამოყენება დაუმტკიცდა და ამის გამო, შარშან მოგებული ტურ დე ფრანსის ჩემპიონის წოდებაც ჩამოერთვა, ის იხტი-ბარს არ იტეხს და ირწმუნება, ველომარათონი სამართლიან პაექრობაში მოიგო და არანაირი აკრძალული პრეპარატი არ გამოუყენებია.

"მე ხომ ვიცი, რომ შარშანდელი ტური არანაირი აკრძალული პრეპარატის გამოყენებით არ მომიგია. ამიტომ, მშვიდად მძინავს და ნაკლებად მაღელვე-ბს ის ფაქტი, რომ ჩემპიონის წოდება ჩამომართვეს. ვიმედოვნებ, რომ ჩემს ფანებს კვლავაც სჯერათ ჩემი, იმ ფა-ნებს, რომლებმაც თავის მართლების დროს მორალური და სხვა სახის დახმა-რება აღმომიჩინეს", - განაცხადა ლენ-დისმა თავის ვებ-გვერდზე, რომლის მეშვეობითაც, თავის ფანებს მადლობა

შარშანდელი ტურის მე-16, სამთო ეტაპზე ლენდისმა მის ხელთ არსებული დიდი უპირატესობა ვერ გამოიყენა და ლიდერის ყვითელი მაისური ესპანელ ოსკარ პერეიროს გადააბარა. მაგრამ მომდევნო, ბოლო სამთო ეტაპზე, დანაკარგი სრულად აღიდგინა. მან თითქმის ეულად განვლო რამდენიმე ურთულესი სამთო მონაკვეთი და ყვითელი მაისურიც დაიბრუნა

სწორედ იმ გამარჯვების შემდეგ, დოპინგშემოწმებამ მის სიკვდილში ჰო-

რმონ ტესტოსტერონის ჭარბი შემცველობა დააფიქსირა. საქმე წელიწადზე მეტ ხანს გაიწელა, ბოლოს კი აშშ-ის სპორტის არბიტრაჟმა დაადგინა, რომ ლენდისმა მართლაც თაღლითობით მოიგო ფრანგული ტური. შედეგად, აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტომ ლენდის ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, ფრანგული ტურის ორ-განიზატორებმა კი მას ჩემპიონის წოდება ჩამოართვეს და ახალ ჩემპიონად პერეირო გამოაცხადეს, ვინც ამერიკელს ფინიშზე 57 წამით ჩამორჩა.

ლენდისს ჯერაც აქვს დისკვალიფი-კაციის სპორტის საქმეთა საარბიტრაჟო სასამართლოში გასაჩივრების უფლება. მაგრამ შესაძლოა, ეს უფლება არ გამოი-ყენოს. ამის მიზეზი კი შეიძლება ის გარემოება იყოს, რომ ლენდისსა და მის დაცვას დოპინგსაწინააღმდეგო კანონები ირამართებულად მიაჩნიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ საქმე არც მანამდე უნდა წაგვეგოო, - ამბობს ლენდისი.

"ერთადერთი დადებითი, რაც ამ საქმის მსვლელობიდან გამოვლინდა ისაა, რომ ჩვენ ყველას დავანახეთ, თუ რამდე-ნად კორუმპირებული, არაეფექტური და უსამართლოა დოპინგსაწინააღმდეგო სისტემა. მათ მიერ მიღებული გადაწყვეგილება ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ წარმოდგენილ მეცნიერულ მტკიცებულებას, რომელიც მხედველობაში არ მიიღეს. ამის მეტი ჩვენ სათქმელი აღარაფერი გვაქვს", - დასძენს ლენდისი.

3LM350M 80330M6580

### 32NWWP 8393NW2F **ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲐ ᲔᲚᲘᲡ**

გერმანიის ქალაქ შგუგგარგში სტარტი აიღო საგზაო ველოსპორტში მსოფლიო ჩემპიონატმა. რომელზეც მედლების ორი კომპლექტი გათამაშდა. თუმცა, ამაზე მთავარი ისაა, რომ შესაძლოა, მასზე გამოსვლის უფლება რამდენიმე ვარსკვლავმა ვერ შეძლოს.

ამ ვარსკვლავთა შორის ყველაზე გამორჩეულები ჯიროს იტალიელი ჩემპიონი **დანილო დი ლუკა** და ესპანელი ალეხანდრო ვალვერდე არიან. ვალვერდეს შტუტგარტში გამოსვლის წინააღმდეგი ველოსპორტის საერთაშორისო კავშირია, რომლის ხელმძღვანელობაც ამის მიზეზად იმ გარემოებას ასახელებს, რომ ვალვერდე შარშან დოპინგ სკანდალ ოპერასიონ პუერტოში

სამაგიეროდ, ველომრბოლს მხარს უჭერს ესპანეთის ველოსპორტის ფედერაცია, რომელმაც ვალვერდე ნაკრებში შეიყვანა. ასეა თუ ისე, ვალვერდეს საკითხს არბიტრაჟი გაარკვევს.

რაც შეეხება დი ლუკას, მისი საქმე კიდევ უფრო რთულადაა. მსოფლიო ჩემპიონატს ვინ ჩივის, მას შეიძლება ჯიროს ჩემპიონობაც ჩამოართვან. საქმე ისაა, რომ იტალიის ოლიმპიური კომიტეტის დოპინგსაწინააღმდეგო კომისიამ დი ლუკასგან ჯიროს დროს აღებულ ანალიზებში გარკვეული შეუსაბამობა აღმოაჩინა.

განმეორებითი ტესტი ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის დოპინგსანინააღმდეგო სამსახურის სპეციალისტებმა ჩაატარეს, თუმცა მათი შედეგი, ჯერჯერობით, უცნობია. ცნობისთვის, აღნიშნული სინჯი ველომრბოლისგან მე-17 ეტაპის შემდეგ აიღეს, რომელზეც ველომრბოლებს ურთულესი, ძონკოლანის სამთო მონაკვეთი ჰქონდათ გასავლელი. ეტაპი იტალი-ელმა **ჯილპერტო სიმონიმ** მოიგო, დი ლუკა კი მეოთხე ადგილს დასჯერდა, რითაც ლიდერის ვარდისფერი მაისუ-

#### ᲥᲐᲚᲔᲑᲘ. ᲓᲠᲝᲖᲔ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲒᲝᲚᲐ (2 ᲬᲠO - 25.1 Ja)

1. პანკა კუპფერნაგელი (გერმანია) 34.43 (43.380 კმ/სთ); 2. კრისტინ არმსტ-რონგი (აშშ) 35.07; 3. კრისტიანე ზოედერი (ავსტრია) 35.25; 4. ამბერ ნებენი (აშშ) 35.46; 5. კრისტინ თორბურნი (აშშ) 35.57; 6. პრისკა დოპმანი (შვეიცარია) 36.00; 7. ჟანი ლონგო-კიპრელი (საფრანგეთი) 36.05; 8. ემა პუული (ბრიტანეთი) 36.15; 9. კარინ თურიგი (შვეიცარია) 36.18; 10. მეიფან ლი (ჩინეთი) 36.21...

**ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲒᲝᲚᲐ (2 ᲬᲠᲔ - 38.1 ᲙᲛ)** 

1. ლარს ბოომი (პოლანდია) 48.57 (46.86 კმ/სთ); 2. მიხაილ იგნატიევი (რუსეთი) 49.05; 3. ჟერომ კოპელი (საფრანგეთი) 49.43; 4. მიქაქლ ფაერკ კრისტენსენი (და-ნია) 50.08; 5. აღრიანო მალორი (იტალია) ნია] აი.სი; ი. ადრიაათ ძალოთ (იტალია) 50.10; 6. ედვალდ ბოასონ პაგენი (ნორვეგია) 50.11; 7. ტანელ კანგერტი (ესტონეთი) 50.11; 8. ალექსანდრ პლიუშინი (მოლდო-ვა) 50.15; 9. ბრანისლაუ სამოილაუ (ბელარუსი) 50.25; 10. ფრანსის დე გრეეფი (ბელ-ა) 50.26 ans) 50.28...

#### TV L3MACA

#### 27 ᲡᲔᲥᲒᲔᲛᲑᲔᲠᲘ. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

#### 1 JURPU

22:45 არენა - სპორტული ტოქ-შოუ. 00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბეტისი (LIVE).

#### HTB-35300 (90650A00)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო

12:20 გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-

ლევერკუზენი. 14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სა-

ოაგოსა. 15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო 16:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმო-

18:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო

19:25 ტოქ-შოუ - 2:1.

20:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმო-22:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნა-

იტედი-ჩელსი. 23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბეტისი

#### 01:55 სასტვენი.

SPORT 1 (ซเสลเกิร์ส) 07:04 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ანდრეი

შევჩენკო. 08:51 ფეხბურთი. Barca TV. 08:58 სპორტინფორმი. ახალი ამბები. 09:09 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტურის მი-

10:20 სპორტინფორმი. ახალი ამბები. 10:32 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური

ეტაპი. რეალი-ვერდერი. 12:16 ფეხპურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტუ-

რის მიმოხილვა. 13:12 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვა-

14:58 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო

ჩემაიონატი. 17-00 სპორტდოსიე. ხელბურთი. 17-26 ფებბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მან-ჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი. 19:15 ფებბურთი. გერმპანიის ჩემპიონატი. ნი-

ურნბერგი-ლევერკუზენი. 21:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა. 21:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები. 21:41 ფებბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტუ-რის მიმოხილვა.

22:42 სპორკტინფორმი. ახალი ამბები. 22:52 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. სან პაულუ-ბოკა ხუნიორსი.

00:46 ავტოსპორტი. ევროპის თასი. იალტის

01:02 სპორტინფორმი. ახალი ამბები. 01:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილა-

03:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ლევერკუზენი. 04:44 ფეხბურთი. Barca TV. 04:53 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური

ეტაპი. რეალი-ვერდერი. 06:37 სპორტული ისტორია.

#### EUROSPORT

10:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი

10:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
11:00 ფებბურთი: მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. ჩინეთი.
12:30 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. +105 კგ. ტაილანდი.
13:30 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. +105 კგ. ტაილანდი.
13:30 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი.
23-ნლამდელები. გუნდური რბოლა. შტუტ-გარტი. გერმანია.
14:30 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. ლუქსემბურგი (LIVE).
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფებ-ბურთი მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. ლუქსემბურგი (LIVE).

20:15 იოგიუოთი. WTA-ს ტუოი. 1/0 ფისალი. ლუქსემბურგი (LIVE). 20:45 ფებბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქა-ლები. 1/2 ფინალი. ჩინეთი. 23:15 რალი. IRC-ის სერია. I დღე. იტალია

23:30 პროფესიული კრივი. 01:00 ბრძოლა წესების გარეშე. 03:00 მულტისპორტი.

#### EUROSPORT-2

09:45 სერფინგი. საფრანგეთი 10:00 ახალი ამბები.

10:45 სერფინგი. საფრანგეთი. 11:40 ახალი ამბები. 12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარუ-ლი სეზონი.

13:00 ექსტრემალური სპორტი. 14:00 ახალი ამბები.

16:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარუ-

ლი სეზონი. 17:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინა ლუქსემბურგი (LIVE). 19:00 ექსტრემალური სპორტი. 20:00 ახალი ამბები.

20:30 სერფინგი. საფრანგეთი. 21:00 ავტოსპორტი. ჟურნალი.

21:30 ახალი ამბები.

22:00 ექსტრემალური სპორტი. 23:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარუ-

ლი სეზონი.
23:45 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა.
ჯგუფური ეტაპი. ფლენსბურგი (გერმანია)სიუდადი (ესპანეთი).
01:00 სერფინგი. საფრანგეთი.
01:15 ახალი ამბები.
EHF-ის ჩიმპიონთა ლიგა.

01:30 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ჰამბურგი (გერმანია)-ვი-ბორიი (ოანია)

02:15 რალი. IRC-ის სერია. I დღე. იტალია. 02:45 სერფინგი. საფრანგეთი. 03:00 ახალი ამბები.

03:45 სერფინგი. საფრანგეთი.

Bisten ba	701	
<b>93693400</b> 0		
enceca enceenus		
ชงตวลก. 1/2 ซกธ์ ลวสงรถง-ธทสงวลกง	J-11	3:0
063C:000		3.0
estrant moun		
ᲐᲡ&ᲝᲜ 3ᲘᲚᲐ <b>-</b> ᲚᲔᲡ&ᲔᲠᲘ		0:1
3)ᲚᲘ-ᲩᲔᲚᲡᲘ 3)56ᲡᲓᲘ-33)Რ&ᲝᲜᲘ		0:4
3368 3380-35080		1:0
37733346N-3043063330 3773336-37758060	1:1. 5.5.	3:0
ANDSCEME-SEU MCGACCA		0:2
&M&JGJGATERSTON		2:0
COUNTRACTOR		
<b>ლ3660-ლ1ლ1</b>		1:0
JC7368M60-6360	0:0, 空.空.	
3M464-9300 5000-600		1:2
<b>ᲚᲝᲠᲘᲐᲜᲘ-3៤</b> 3		0:3
634365341-331361 634365341-331361	2:2, 336.	0:2
8437-EUR?		0:1
37279CPU-PMBM		2:1
amesagennu da aande ladan-enam		1:0
KMUDEEDEN-13013 AMUUN		1:3
29 920-3243633360 29 920-3243633360	0:0, 336.	0:3
63 943834M-7P3	u.u, 550.	2:0
336-336 338-336	1:1. 5.5.	3:2
NU3C2333333733CTU1-3AM5063		1:8
30A363036N II-3N6E3M336N		0:3
ᲒᲔᲚᲡᲒᲐᲠᲘ-ᲑᲠᲔᲓᲐ ᲙᲝᲖᲐᲙᲔᲜᲘ–ᲐᲘᲐᲥᲡᲘ	1:1, 5.5.	1:2
MED 1600311-B3MCC	2:2, 336.	
363-8363JM80 30036MM440-3843680		1:0
<u>อยาคอสธอตาก</u>		
esugue ougen		
~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~~		0:2
3M48N3M636L3-83536L33N	1:1, 336.	
97943 974U-2343U47 879437-34493	0:0, 336.	
108080-31M00	u:u, 306.	2:0
3834743-8369033 308343330-630433	1:1, 306. 0:0, 306.	
3173C796CU	U.U, 500.	0.7
MACIO JUSTIN		
UPS A7UAU-43UEX34PU		0:4
<ul><li>や36年の一もつござります。</li><li>うりもうみをのうをのうとのできます。</li></ul>		1:2
3749171-79746181		0:2
പുല്യ വാസ		
<b>は10mmで1-30mmで10680</b> <b>86333-3m86m</b>		1:4 4:0
80030-3110M11 80080-01433060		0:2
3,7462-6070490 3,7463-6070490		1:4
CUCTOSMASU-PAMEGAUD		7:3 1:2
343634007-74336379360 3060-46540		1:3
334904493-436991		0:2
30000000000000000000000000000000000000		0:3
ווירוויייטו וווט ווטטטרו וט		0:1

מיווונישיני ביים אוונישיני	4:2
30740630-30430755660	0:3
JMCSJIN-UNDERJANCH	0:1
633L833CU-3UVPPPPPPPPPPPPPPPPPPPPPPPPPPPPPPPPPPP	3:2
MCL9U3-4726634PU	0:3
330~3-6714~60~36~0	2:1
6MY339VUP CU2PU	
33783676EEN-17E 8436EE36EN	1:0
<b>ლกლეს&amp;ሉกᲝᲛᲘ-Ს&amp;ᲐᲑᲔᲙᲘ</b>	2:0
93325000	
II ©NONTANTIAN	
しつ6でしるシベカー6かんおからからるか	3:0
งสิโซิศกิง	
<b>空1683ペリーンコルタペリン (3)</b>	1:1
หวงกตก-ฮงอวหนอวหลก	1:0
<b>ሐበ</b> ዊበ-ንლ8ን <b>ዜ</b> በ	3:0
383K3N-8NKM©N	3:0
<b>%)</b> ~83~83~3366~13 (J)	3:0
สรอบกวษบว	
APYCACA-CARPENTE	3:3
L&. 83CC36N-8K3L3M33KLN	5:3
U729 9WUAU-7472	4:1
BUJAUPU-97#36#J	2:2
ROMOGRAN	
RJan-90muerue?	0:2
JM5JM4GU)-CM8J5)	4:1
cocomen-snch	2:2

JANEUN-3MCCOEN

9M59Un-3393Un

CONTRACTOR OF THE PARTY OF THE	-
COLLIGIC COME-MAKELLE	cers.
202724-U30464201 3 [] [] []	13
302939 8981-0949901	0:1
	2:0
FOSSW492010	
33407-737	0:1
വാരാത്തി വാധ	
<b>7</b> 応76U7-3U37PU	4.0
74019-619201 74019-619201	1:0
304013753-1937407	4:2
CECEBUTCE-UNCUNCT	2:0
3%93-3M6N3	2:1
うをうから からい からい からい からい からい からい からい からい からい か	2:1
ልመራስ መተመመ	1:0
<b>839040-35030</b>	1:0
372U72U72U72U72U72U72U72U72U72U72U72U72U7	2:0
חבינים מומנותים מומנות	4:0
NLO13683551-5NL3N	2:3
ปรากกระการและการการการการการการการการการการการการการก	2:3
976097-99 97,807,900,500	1:0
ศกชา-วนวกนวงกศก	3:1
	J: 1
ASISION	
MJANGN-63CRNJN	2:1
ษะเทออธิกอ	
วหาอทหาว-งวงะากงาอก	0:2
<b>Ლ</b> ᲘᲕᲐᲠᲘ-ᲙᲝᲞᲔᲠᲘ	1:6
E3983-NE83A8CTI3N	1:3
องศกงศศก-୧ศงวง	1:3
<b>๒๓๛๛</b> ๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛๛	2:3
วงสงกรกษ ตางษก	
J6N3%3-N9NRN33UN	0;1
EU16233U-57PF	0:1
Manayun-60769	1:2
<b>53730-8533633803</b>	2:1
3050MUU-74F02675U	0:2
808360-R366M8M8380	0:3
กลิสตินวิสวิกินา-มวิสวิวิสา	1:0
EU37-74U397NU	1:0
1000 011100001 1000011100001	1:3
3M4M27-P747M3U	2:0
CUENT CEUTAN	2:0
3383C3431 (%)-833413	0:0
3/538331	0.0
6333683RU-13MU	0:0
हमल्य	
<b>ლ</b> Ო&Ა-36.&3い3560円ლ3	1:1
635C3613-JM543CM3	3:2
MAGNICUME-NABMG MANCOS	0:
JOENOUS COL	
ออสกาลกน ควอลการอสก	
down and radam resent	

ქალეგი	
1872U7-17347E930U1	48:64
Page 19 Page 1	74:71
4303001-0393446300U	86:47
นอดชอบทา-ชอตอดอนก	53:79
01364300n-nu633cm	70:58
3F37E3QU -PU4379U7	63:52
<b>571833-83683683</b>	71:57
Რ <b>ᲔᲮᲔᲗᲘ</b> −ᲚᲐᲒᲕᲘᲐ	70:44
<b>ൗ</b> ഹാ6374011	
ววศฑลกษ ควอลกฑ	6590

TAMPANE RABANTI	53 <b>8</b> 0
nacroct	
N&3550-003433001 .	3:0
しつんとうのローとつごろいんつのロ	3:1
JMCJECUJ-RJEJONN	3:0
4.2P3QUU-92Y897EU7	3:0
3McMeodu-90cau9	3:0
いるべつ293000-742497035720	3:1
NDACGEMA	

ATP. 838850	
იუ <b>ბეკი</b> -კაპდევილე <b>ვონინი</b> -დევ ვარმანი ი. როხუსი-ჰაასე	6:3, 6:2 6:3, 7:6 6:2, 6:2
ATP. 8368JFIJN	
shama-managa	3.6 1.6

ATT. OJOOJI IJI	-	
ბასტლი-კუნიცინი		3:6, 4:6
კერი-ლინდალი	6:2,	4:6, 3:6
<b>ვერდასკო</b> -მარტინი		6:2, 6:1
ბერდიჩი-ვაჩირამანოვონგი		6:3, 6:0
<b>ტურსუნოვი</b> -ეშაუერი	6:3,	3:6, 6:1
ჰაასი-სპეიდი	4:6,	6:4, 6:1
როდიკი-ვანგი		206467
NEGECALCEP ATW	รอก	

TTIAL TUUUUUU	HTICK!
გოლოვინი-კრისტეა	6:3, 6:1
პეერი-ზვონარევა	6:4, 1:6, 4:6
შნიდერი-კ. ბონდარენკო	6:1, 6:3
ივანოვიჩი-კრემერი	7:5, 6:4
პეტროვა-აზარენკა	2:6, 1:6
PECCI ATW	1

MTA. LIJUEN		
დომაჩოვსკა-ბრიანტი	6:3, 6:2	
მორიტა-იოპანსონი	6:4, 4:6, 6:4	
მიულერი-კასტანიო	4:6, 2:6	
მარმენტიე- <b>პენეტა</b>	4:6, 4:6	
ofomotom-sodo	7.5 6.3	

1:2

2:0



#### **ᲒᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐ&Ი**

XI ტური. ლეკო (უნგრეთი)-არონიანი (სომხეთი) - 0.5:0.5; კრამნიკი (რუსეთი)-გრიშჩუკი (რუსეთი) - 0.5:0.5; გელფანდი (ისრაელი)-სვიდლერი (რუსეთი) - 0.5:0.5; ანანდი (ინდოეთი)-მოროზევიჩი (რუსეთი) - 1:0. სატურნირო მღგომარმობა: 1. ანანდი - 7.5 ქულა; 2. გელფანდი - 6; 3-5. კრამნიკი, ლეკო, არონიანი - 5.5; 6-8. გრიშჩუკი, მოროზევიჩი, სვიდლერი - 4.5.

JAPENOMAJAON

#### 93%U397 70J289U V0J99797

ლეგენდარული მეჯიქ ჯონსონი საბერძნეთში ტურნეს მართავს. გუშინ, 'ლეიკერსის" ყოფილმა ლიდერმა ათენში ორგანიზებულ საქვ<mark>ელმოქმედო მა</mark>ტჩში მიიღო მონაწილეობა.

"ჩვენი სურვილია, შიდსის ვირუსით დაავადებულ ადამიანებს დავეხმაროთ. გარდა ამისა, არც საშინელი ხანძრით დაზარალებულებიც უნდა დავივიწყოთ", - განაცხადა მატჩის წინ ჯონსონმა, რომელმაც 1991 წელს, აქტიური სპორტუ-

ლი კარიერა შიდსის ვირუსის გამო შეწყვიტა. მეჯიქის გარდა, აღნიშნულ მატჩში მონაწილეობა საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების ვეტერანმა კალათბურთელებმა მიიღეს.

დიდი კალათბურთიდან წასვლის შემდეგ, ჯონსონი მთლიანად ქველმოქმედებაში გადაერთო და დიდ დახმარებას უწევს შიდსით ინფიცირებულებს.

#### **110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 110 ᲩᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲓᲐᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲡ**

"<mark>პიუს</mark>ტონ როძეტსის" ლიდერმა <mark>იაო მინმა</mark> შანხაიში პრესკონფერენცია გამართა, სადაც განაცხადა, რომ ის თავისი გუნდის საწვრთნელი შეკრების პირველ დღეებს გამოტოვებს.

აიალის საორგანიზაციო კომიტეტთან, რომლის მიხედვითაც, მინმა მასტერ-კლასი უნდა ჩაატაროს ინვალიდი სპორტსმენებისთვის. "როკეტსის" კალათ-ბურთელს მიაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ლონიებაა, მით ება

რომ ზაფხულის ოლიმპიური თამაშები გაისად მის სამშობლოში გაიმართება. "ვნუხვარ, რომ "ჰიუსტონში დროულად ვერ გამოვცხადდები. აუცილებლად უნდა დავესნრო იმ ლონისძიებებს, რომელიც ოლიმპიადის ეგიდით შანხაიშია დაგეგმილი", - განაცხადა მინმა.

სავარაუდოდ, ჩინელი "როკეტსის" განკარგულებაში 4 ოქტომბერს (NBA-ში საწვრთნელი ბანაკები 1 ოქტომბერს იხსნება) იქნება. მიუხედავად იმისა, რომ მინს საპატიო მიზეზი აქვს, სავარაუდოდ, კლუბი მას 30 ათასი დოლარით დაა-

#### 3)30699We37 3)UFUEU &7U9U37

"<mark>3</mark>აშინგტონუიზარდსმა" კონტრაქტი გაუგრძელა მცველ <mark>როჯერ მეისონ-</mark>

უმცროსს. ახალი ხელშეკრულების დეტალები უცნობი დარჩა. გასულ სეზონში, მეისონს ბევრით არაფრით გამოუჩენია თავი. ის მოედანზე

დაახლოებით 8 წუთს ატარებდა და 2.7 ქულას აგროვებდა.

"ჩემი გული "ვაშინგტონს" ეკუთვნის. ვგრძნობ, რომ მომავალ სეზონში გუნდს ძალიან გამოვადგები", – განაცხადა მეისონმა.

#### <u> ᲞᲐᲦᲡᲝᲜᲘ ᲒᲝᲚᲦᲔᲜ ᲡᲒᲔᲘᲒᲒᲐ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ</u>

"გოლდენ სტეიტ უორიორზმა" "მინესოტა ტიმბერვულვზის" მცველი **ტროი ჰადსონი** დაიმატა. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, "მეომრებმა" თავისუფალ აგენტთან ერთნლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

შარშან, 31 წლის გამთამაშებელმა რეგულარულ ჩემპიონატში 34 მატჩი ჩაა-ტარა (საშუალოდ, შეხვედრაში 5.9 ქულასა და 2.2 გადაცემას აგროვებდა). ზაფხულში "მინესოტამ" მისი კონტრაქტის გამოსყიდვა გადაწყვიტ

სავარაუდოდ, ჰადსონმა "გოლდენ სტეიტში" ლიტველი **შარუნას იასიკია-ვიჩუსი** უნდა შეცვალოს, რომელიც ევროპაში დაბრუნდა და "პანათინაიკოსში"

#### **ᲞᲘ&ᲛᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲛᲐ&Ა**

ბხალი სეზონის წინ, მორიგი კალათბურთელი დაიმატა "მაიამი ჰიტმა". ეს გახლავთ მცველი **ბრაიან ჩეიზი,** რომელიც შარშან "იუტას" შემადგენლობაში

ირიცხებოდა, მაგრამ რეგულარულში არცერთი მატჩი არ ჩაუტარებია. ჩეიზი უკვე მეოთხე მცველია, რომელმაც ამ ზაფხულს" პიტის" რიგები შეავსო. მანამდე ამ გუნდში გადავიდნენ **ჯეისონ უილიამსი, სმაშ პარკერი** და **კრის ქუინი**.

#### **ᲞᲐᲕᲚᲝᲕᲘᲩᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲔᲥᲐᲝᲡ** ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲣᲜᲓᲐᲗ

"ძლივლენᲓძბმბლიერსის" ორი ლეგიონერი - <mark>საშა პავლოვიჩი</mark> და <mark>ანდერ-</mark> სონ ვარეჟაო შეზღუდული თავისუფალი აგენტები არიან. სერბსა და ბრაზილ ელს გუნდის დატოვება და ევროპულ კლუბებთან კონტრაქტების გაფორმება აქვთ განზრახული.

ამ დუეტს არ აკმაყოფილებს "კავალიერსის" ხელმძღვანელობის მიერ შეთა ვაზებული პირობები. "ჩვენ არჩევანის საშუალება გვაქვს. საშამ შესანიშნავი სე-ზონი ჩაატარა და "კლივლენდის" ერთ-ერთი წამყვანი მოთპაშე გახდა, ამიტო-მაც არ ვაპირებთ იმაზე ხელის მოწერას, რაც "კავალიერსმა" შემოგვთავაზა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ევროპულ კლუბებსაც დიდი ბიუჯეტი აქვთ", - აცხადებს პავლოვიჩის აგენტი <mark>მარკ კრონშტეინი</mark>.

შეგახსენებთ, რომ სერბი შარშან, საშუალოდ 9.0 ქულასა და 2.4 მოხნას აგროვებდა, ვარეჟაოს მონაგარი კი, 6.8 ქულა და 6.7 მოხსნა იყო.

#### ᲛᲣᲚᲐᲝᲛᲔᲠᲝᲕᲘᲩᲘ ᲪᲘᲑᲝᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲦᲐᲕᲘᲓᲐ

**ევრ/// ეგეს** ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, ზაგრების "ციბონამ" ერთნანი კონტრაქტი გააფორმა 33 წლის გამთამაშებელ **დამირ მულაომეროვიჩთან.** გამოცდილი კალათბურთელი, რომელიც 2002 წელს "პანათინაიკოსთან" ერთად ევროლიგის გამარჯეებული გახდა, შარშან მეორე ბერძნულ კლუბში, "ოლიმპიაკოსში" თამაშობდა.

#### <del>ᲙᲠᲝᲡᲑᲘ ᲒᲠᲐᲕᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ</del>

"<mark>პი</mark>&სპურგ პინგვინზის" ლიდერმა <mark>სიდნი კროსბიმ</mark> ერთ-ერთ ბოლო ვარ ჯიშზე საზარდულის ტრავმა მიიღო. ამის გამო, შარშანდელი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს რამდენიმე ვარჯიშის გამოტოვება მოუხდა.

"საშიში არაფერია. საზარდულში ტკივილი ვიგრძენი და ვარჯიში შევწყვიტე. როგორც ექიმებმა მითხრეს, უკვე ამ კვირას შევძლებ ყინულზე დაბრუნებას", განაცხადა 20 წლის ჰოკეისტმა.

ექიმებმა კროსბის დაახლოებით ოთხი დღით დასვენება ურჩიეს. სხვათა შორის, ასევე საზარდულის ტრავმის გამო, სიდნის შარშანდელ რეგულარულში სამი მატჩის გამოტოვება მოუნია.

#### 30C0M836MN



ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲓᲐᲠᲙᲝ ᲛᲘᲚᲘᲩᲘᲩᲗᲐᲜ

### amasasen րությունը հարարանասարանը և հարարանան և հարարանան արդանան արդանան արդանան արանանան արանանան արանանան արանանան ա

1947 წელს, იუგოსლავიამ ევროპის ჩემპიონატზე პირველად ითამაშა და მსოფლიო კალათბურთის მომავალ გრანდს მოკრძალებული შედეგი - მხოლოდ მე-13 ადგილი ჰქონდა. მას მერე, იუგებმა მთელი საკალათბურთო სამყარო დაიპყრეს და ყოველ დიდ საერთაშორისო ტურნირზე ფავორიტთა შორის ირიცხებოდნენ. დღეს კი, სერბებმა ესპანეთში დასრულებულ ევროფორუმზე, 60 წლის წინათ ნაჩვენები შედეგი გაიმეორეს და კვლავ მე-13 პოზიციაზე აღმოჩნდნენ. სერბეთი პირველ ჯგუფურ ეტაპზე მომავალ ჩემპიონ რუსეთს, მაშინ ჯერ კიდევ მოქმედ ჩემპიონ საბერძნეთსა და ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით მოხვედრილ ისრაელს დაუპირისპირდა. პირველი ორი მატჩის დიდ ბრძოლაში წაგების შემდეგ, სერბებმა ისრაელთან უამრავი შეცდომა დაუშვეს და საპოლოოდ, ტურნირს მოუგებლად დაემშვიდობნენ. ნაკრების თავკაცად ზორან სლავნიჩის დანიშვნის შემდეგ, თითქმის ყველა სერბმა ვარსკვლავმა ეროვნული გუნდის ღირსების დაცვაზე უარი განაცხადა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც მთავარი მწვრთნელის მძიშე, ბევრის თქმით, აუტანელი ხასიათი უკანა პლანზე გადაწიეს და ესპანეთში ჩავიდნენ. მათ შორის ირიცხებოდნენ ვეტერანი მარკო იარიჩი, ვისაც კაპიტნობა დაეკისრა და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი დარკო

მილიჩიჩი. მილიჩიჩი დამდეგი სეზონიდან "მემფისში" პაუ გასოლის გვერდით ითამაშებს, ამ ეტაპზე კი, დარკო ხორვატიაში, საკურორტო ქალაქ პულაში იმყოფება.

- რამ განაპირობა თქვენი გუნდის ფი-

- რატომ, ფიასკო? გუნდის ყველა წევრმა მაქსიმუმი გამოავლინა და თუ დააკვირდით, ყველა შეხვედრის მოგება რეალური იყო. საერთოდ, არ მიყვარს მსაჯებზე საუბარი, მაგრამ ჩემი აზრით, საბერძნეთთან რეფერიმ ჩვენი ოპონენტის სასარგებლოდ რამდენიმე საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო. საბერძნე-თი ისედაც პრობლემებს გვიქმნიდა და მსა-ჯების კეთილგანწყობით ხომ საერთოდ ურთულესი გახდა მათ წინააღმდეგ თამაში. შეგვეძლო რუსების დამარცხებაც, ისრაელთან კი, ბოლოში ბევრი იოლი სროლა გავაფუჭეთ. საბოლოო ჯამში, ჩვენს გამოსვლას მთლად ფიასკოსაც ვერ დავარქმევ, თუმცა ცხადია, რომ უკეთ თამაში შეგვეძლ

იარიჩისა და მილან გუროვიჩის გარდა, ნაკრები მთლიანად ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული. შემადგენლობაში კიდევ რამდენიმე გამოცდილი წევრის შეყვანა ხომ არ სჯობდა?

- შეიძლება, უკეთესი ყოფილიყო, მაგრამ ვინც კი ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვა, მთავარმა მწვრთნელმა ყველა მიიწვია. მეორე მხრივ, გუნდში ახალი თაობა უნდა ნამოვიდეს. წლების განმავლობაში ერთსა და იმავე მოთამაშეებზე დაყრდნობა ალბათ,

საიმედოა, მაგრამ ხშირად, ამის ფონზე ახალგაზრდები იკარგებიან და მათ თავის გამოჩენის საშუალება მხოლოდ კლუბებში ეძლევათ. ასე რომ, ჩემი აზრით, ესპანეთში გამოსვლით სერბულმა კალათბურთმა ყველას დაანახა, თუ რამდენად ნიჭიერი და იმედისმომცემი ახალი თაობა ჰყავს

- ზორან სლავნიჩის მძიმე ხასიათი ბევრმა ნაკრებში ჩამოუსვლელობის მიზეზად დაასახელა..:

- რა სისულელეა! ზორანს ჩვეულებრივი ხასიათი აქვს და თუ იგი სხვაზე მეტად მომთხოვნია და ეს ვინმეს ალიზიანებს, შეუძლია, მივიდეს მთავარ მწვრთნელთან და ერთი-ერთზე გაესაუბროს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და არა მგონია, ზორან სლავნიჩს ვინმესთან საუბარზე უარი ეთქვას.

- ესე იგი, თქვენ ნაკრების რადიკალუ-

რად გადახალისების მომხრე ხართ? - მხოლოდ იმისი მომხრე ვიქნები, თუ სერბეთს მსოფლიოში საუკეთესო გუნდი ეყოლება და მიმაჩნია, რომ დღევანდელი კონტინგენტით, მომავალი სერბული კალათბურთისაა. ისე, ერთხელაც მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მარკო იარიჩს, რომელიც ტურნირზე ტრავმირებული ჩა-მოვიდა, მაგრამ თქვენც მშვენივრად ნახეთ, თუ როგორი თავდადებით გამოირჩეოდა ნაკრების კაპიტანი. მარკომ ახალგაზრდებს კარგი მაგალითი მისცა და თუ ნაკრებში დარჩება, ყველასთვის კარგი იქნება.

- კეთილი, მოდით, "მემფისსაც" შევეხოთ. როგორ გგონიათ, ფინალის წაგე-ბის მერე, პაუ გასოლი წინასასეზონო მატჩებზე ნირნამხდარი ხომ არ გა-

მოცხადდება? - აბა, თქვენ წაგეგოთ ასეთი თამაში და ნახავდით, ხასიათი თუ არ გაგიფუჭდებოდათ. არა მგონია, ფინალის წაგებით, პაუ მემფისში ზედმეტად დამძიმებული ჩამოვიდეს. იგი პროფესიონალია და მჯერა, რომ წლეულს, ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. გასოლს "მემფისში" ოთხ ნომრად ათამაშებდნენ, თუმცა მაინც მგონია, რომ იგი თავს უკეთ ცენტრის პოზიციაზე გრძნობს. ამერიკაში ცენტრებისგან, ძირითადად, ძალასა და ათლეტურობას ითხოვენ, მაგრამ გასოლმა ყველას დაუმტკიცა, რომ უდიდესი საკალათბურთო ინტელექტის მქონე მოთამაშეს წინ ვერავინ დაუდგება. გასოლი კარგი პიროვნებაცაა, ხოლო მის გარდა, "მემფისში" კიდევ ურთი ძლიერი ევ-როპელი, ხუან ნავარო გვეყოლება.

- ძალიან ძლიერ დასავლეთში ეს საპლეიოფოდ საკმარისი იქნება?

- წესით, უნდა იყოს. ვიცი, რომ თითქმის ყველა ძლიერი მაღალი მოთამაშე დასავლეთშია თავმოყრილი, მაგრამ სწორედ ასეთებთან უნდა დაამტკიცო შენი ძალა. იაო მინი, ამარე სტაუდმაიერი, ტიმ დანკანი, ბრედ მილერი, დირკ ნოვიცკი, შონ მერიონი უძლიერესი მოთამაშეები არიან, თუმცა მათ წინააღმდეგ მოედანზე გასვლა ჩემთვის დამატებითი გამონვევაა.

- საპოლოო ჯამში, კმაყოფილი ხართ თუ არა "ორლანდოში" გატარებული პე-

- "დეტროიტს" თუ შევადარებთ, სეზო-ნის საუკეთესო მოთამაშის პრიზი უნდა მიმელო (იცინის). დიახ, კმაყოფილი ვარ, თუმცა შემეძლო, ბევრად უკეთ მეთამაშა. დუაიტ ჰოვარდის უკეთ გამოყენებაც შეიძ ლებოდა და ვთვლი, რომ შემადგენლობით "მეჯიქი" ბევრ საპლეიოფო გუნდზე ძლეერი იყო. "დეტროიტთან" ბევრად კარგი შედეგისთვის უნდა მიგვეღნია.

**ზურა** თალაკვაკე



**ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔ**ᲒᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲓᲠᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ കാട്രമാട്രെപ്പുവ

#### ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ

355@5 80m5330m0

രാഭാഷത്രകാര ᲛᲐᲛᲣᲙᲐ <u>ᲩᲘ</u>ᲮᲚᲐᲫᲔ ᲒᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ർ**ഗ**ഹ്വൗന പാനക്കറ 603UZUR 603999090 ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ മാദായ ദാമാദാ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ ᲙᲝᲑᲐ ᲮᲐᲢᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ 506033826853540

**ᲨᲐᲚᲕᲐ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** 3M&3KN& 50660 ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲬᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ %**ᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲮᲠᲔᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲒᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲒ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲫᲔ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ <del>ᲥᲐᲜᲗᲐᲠ</del>ᲘᲐ, **Ი**ᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲠᲪᲛᲔᲚᲘᲫᲔ, 503M 35405003050

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 678874 PASSES

&3J60J70K0 K3PSJ&MK0 30k30c303

&ᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ %ᲒᲣᲤᲘ: ᲒᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ, ᲛᲖᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲒᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲔᲒᲔᲥᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, 3M22 802033020

**ᲚᲔᲚᲐ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ** ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ** (დირექტორის მოადგილე), S030 30353040, 4000336 ᲓᲘᲓᲒᲔᲠᲘᲫᲔ

**Მ**ᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48) ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა

მიხეილ კაკაბაძემ. 2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

#### LENGAGI

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ: ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲒᲐᲫᲔ (1949-52, 64-76) ᲔᲠᲔᲛᲝ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ (1952-53) ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ (1953-64) ᲐᲜ**Ზ**ᲝᲠ ᲒᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ (1976-83) ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲐ (1984-85) **നാ6an% askoknლა**പാ (1985-დან)



356860060 6545A03355M6 **ጦ**ምበፅኔበଅሐበ 37600

306797W ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ 10°. 0159 のるの空のしの (ᲓᲘᲚᲝᲛᲘ, ᲐᲮ. 306ML& ᲣᲚᲘᲐ, 3043040 63400040); കാന്മാജനം 46 30 98, 46 30 56, 46 32 62 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 3556n: +995.32463097

e-mail: sporti@sporti.ge

ინდექსი 66435 INDEX

838467 94302266 83867 9318079

